ინტერნეტ მომხმარებელთა ძირითადი უფლებების სახელმძღვანელო

სამართლებრივი დოკუმენტები

KAT

2014 წლის 16 აპრილს მინისტრთა კომიტეტმა მიიღო რეკომენდაცია CM/Rec(2014)6, რომელიც ინტერნეტ მომხმარებლებისთვის ადამიანის უფლებების სახელმძღვანელოს წარმოადგენს. ინტერნეტი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებასა და საზოგადოების ყველა ასპექტში. მოცემული სახელმძღვანელო მუდმივად იხვეწება და ხელს უწყობს მოქალაქეების მიერ გლობალურ დონეზე ინფორმაციისა და სერვისებზე წვდომას, ერთმანეთთან დაკავშირებასა და კომუნიკაციას, და იდეებისა და ცოდნის გაზიარებას. წინამდებარე სახელმძღვანელო ეფუძნება ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციას და სხვა დოკუმენტებს, რომლებიც ადამიანის უფლებათა დაცვის სხვადასხვა ასპექტებთან დაკავშირებულ საკითხებს არეგულირებენ. წინამდებარე სახელმძღვანელოში ასევე გათვალისწინებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და ევროპის საბჭოს სხვა სამართლებრივი დოკუმენტების მიერ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების განმარტებები. სახელმძღვანელო უნდა მოიაზრებოდეს როგორც სარეკომენდაციო დოკუმენტი ყველა იმ მხარის მიერ, რომელიც დაინტერესებულია ონლაინ გარემოში ადამიანის უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობის ხელშეწყობაში. ევროპის საბჭოს ყველა წევრი სახელმწიფო ვალდებულია პატივი სცეს, დაიცვას და შეასრულოს ადამიანის უფლებების სფეროს იმ საერთაშორისო დოკუმენტების მოთხოვნები, რომელთა რატიფიცირებაც მათ მოახდინეს.

www.coe.int
www.coe.ge

ევროპის საბჭო კონტინეტის წამყვანი ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციაა. მის შემადგენლობაში 47 წევრი სახელმწიფო შედის, რომელთაგან 28 სახელმწიფო ევროკავშირის წევრია. ევროპის საბჭოს ყველა წევრმა სახელმწიფომ ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციას, რომელიც ადამიანის უფლებათა დაცვის, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის უზრუნველყოფის მიზნით შემუშავდა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო წევრი სახელმწიფოების მიერ კონვენციის მოთხოვნების შესრულებაზე ზედამხედველობას ახორციელებს.

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

რეკომენდაცია CM/Rec(2014)6 და განმარტებითი მემორანდუმი

თარგმანი მომზადდა ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროექტის „ინტერნეტ თავისუფლების დაცვა კანონმდებლობისა და დაინტრესებულ მხარეებისათვის დიალოგის ხელშეწყობის დახმარებით“ ფარგლებში. დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები არ წარმოადგენს ევროკავშირის ოფიციალურ მოსაზრებას.

Programmatic Cooperation framework for
Armenia, Azerbaijan, Georgia, Republic of Moldova, Ukraine and Belarus

Funded
by the European Union
and the Council of Europe

EUROPEAN UNION

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE

Implemented
by the Council of Europe

ინტერნეტ მომხმარებელთა ძირითადი უფლებების სახელმძღვანელო

სამართლებრივი დოკუმენტები

მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2014)6 წევრი სახელმწიფოებისათვის ინტერნეტ მომხმარებლებისთვის ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული სახელმძღვანელოს თაობაზე

მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2014 წლის 16 აპრილს მინისტრთა მოადგილეების 1197-ე შეხვედრაზე

1. ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან უზრუნველყონ მათ იურისდიქციაში მყოფი ყველა პირის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გარანტირებული ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვა (ETS No. 5, კონვენცია). მოცემული ვალდებულება ასევე ინტერნეტ მომხმარებლებზეც ვრცელდება. ინტერნეტ მომხმარებლებზე ასევე ვრცელდება ევროპის საბჭოს სხვა კონვენციებითა და ინსტრუმენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები, რომლებიც გამოხატვის თავისუფლებას, ინფორმაციაზე წვდომას, შეკრების თავისუფლებას, კიბერდანაშაულისაგან დაცვას, პირადი ცხოვრების უფლებას და პერსონალური მონაცემების დაცვას შეეხება.

2. სახელმწიფოების ვალდებულება პატივი სცენ და ხელი შეუწყონ ადამიანის უფლებათა დაცვას, ასევე გულისხმობს კერძო კომპანიების საქმიანობაზე ზედამხედველობის განხორციელებას. ადამიანის უფლებებს, რომლებიც უნივერსალური და განუყოფელია, და მათთან დაკავშირებულ სტანდარტებს, უპირატესი ძალა გააჩნიათ ნებისმიერი კერძო სექტორის კომპანიის მიერ ინტერნეტ მომხმარებელთა მიმართ დაწესებულ ზოგად პირობებსა და მოთხოვნებზე.

3. ინტერნეტს საჯარო მომსახურების ღირებულება გააჩნია. ადამიანები, თემები, საჯარო დაწესებულებები და კერძო კომპანიები საკუთარი საქმიანობის განხორციელებისას ინტერნეტზე არიან დამოკიდებულები და ლეგიტიმური მოლოდინი გააჩნიათ, რომ ეს სერვისი ფიზიკურად მისაწვდომი, ფინანსურად ხელმისაწვდომი, უწყვეტი, სანდო და დაცული იქნება ყოველგვარი დისკრიმინაციისაგან. გარდა ამისა, უზრუნველყოფილი უნდა იყოს, რომ არავინ არ დაექვემდებაროს არამართლზომიერ, ზედმეტ და არათანაზომიერ ჩარევას ინტერნეტის გამოყენებით ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა რეალიზაციის პროცესში.

Internet : http://www.coe.int/cm

4. ინტერნეტ მომხმარებლებმა დახმარება უნდა მიიღონ, რათა სათანადოდ გაიგონ და ეფექტურად ისარგებლონ ონლაინ სივრცეში ადამიანის უფლებებით იმ შემთხვევებში, როდესაც მათ უფლებებსა და თავისუფლებებში ჩარევა, ან მათი შეზღუდვა ხდება. ასეთი მხარდაჭერა ასევე გულისხმობს ინფორმაციის მიწოდებას სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალებების თაობაზე. იმის გათვალისწინებით, რომ ინტერნეტი საჯარო სექტორის საქმიანობის თაობაზე გამჭვირვალობისა და ანგარიშგების უზრუნველყოფის ქმედითი ინსტრუმენტია, ხელი უნდა შეეწყოს ინტერნეტ მომხმარებელთა მიერ ინტერნეტის გამოყენებას დემოკრატიულ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღების მიზნით.

5. იმის უზრუნველსაყოფად, რომ ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები თანაბრად ვრცელდება როგორც „ოფლაინ“, ასევე „ონლაინ“ წვდომაზე, მინისტრთა კომიტეტი ევროპის საბჭოს წესდების მე-15 მუხლის „ბ“ პუნქტის პირობათა გათვალისწინებით წევრ სახელმწიფოებს შემდეგ რეკომენდაციებს აძლევს:

5.1. დანართის მოთხოვნების შესაბამისად, აქტიურად შეუწყონ ხელი ინტერნეტ მომხმარებლების ადამიანის უფლებების თაობაზე სახელმძღვანელოს მოთხოვნების გაცნობას მოქალაქეებისთვის, საჯარო ხელისუფლებისა და კერძო სექტორის წარმომადგენლებისათვის, და შესაბამისი ზომები გაატარონ სახელმძღვანელოს მოთხოვნების შესრულების ხელშესაწყობად, რათა ინტერნეტ მომხმარებლებს საშუალება ჰქონდეთ ონლაინ სივრცეში სრულად მოახდინონ თავისი უფლებებითა და ძირითადი თავისუფლებებით სარგებლობა.

5.2. რეგულარულად შეისწავლონ, შეაფასონ და საჭიროების შემთხვევაში აღმოფხვრან ინტერნეტით სარგებლობის კონტექსტში უფლებებსა და თავისუფლებებთან დაკავშირებული შეზღუდვები, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც ასეთი შეზღუდვები წინააღმდეგობაში მოდის კონვენციის მოთხოვნებთან ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შესაბამისი პრეცედენტული სამართლის მოთხოვნების გათვალისწინებით. ნებისმიერი შეზღუდვა კანონით უნდა იყოს დადგენილი, აუცილებელი უნდა იყოს დემოკრატიულ საზოგადოებაში, და თანაზომიერი დასახული ლეგიტიმური მიზნისა.

5.3. უზრუნველყონ, რომ ინტერნეტ მომხმარებლებს თავისი უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვის, ან დარღვევის შემთხვევაში სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალებებისადმი წვდომა გააჩნიათ. ამისათვის საჭიროა შესაბამის ინსტიტუტებს, ორგანიზაციებსა და საზოგადოებას შორის თანამშრომლობისა და კოორდინაციის ხელშეწყობა. გარდა ამისა, საჭიროა კერძო სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობისა და მათთან თანამშრომლობის უზრუნველყოფა. ეროვნული კონტექსტის გათვალისწინებით, ეს შეიძლება ასევე გულისხმობდეს უფლებების აღდგენაზე მიმართული ისეთი მექანიზმების არსებობას, როგორიცაა მონაცემთა დაცვის სააგენტოების ხელთ არსებული მექანიზმები, ადამიანის უფლებადამცველი ეროვნული ინსტიტუტები (მაგ. ომბუდსმენის ინსტიტუტი), სასამართლო, ცხელი ხაზი და სხვა.

5.4. ევროპის საბჭოსა და მის ფარგლებს გარეთ არსებულ სახელმწიფო და არასახელმწიფო სტრუქტურებს შორის კოორდინაციის ხელშეწყობა იმ სტანდარტებისა და პროცედურების დანერგვასთან დაკავშირებით, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ

ინტერნეტით სარგებლობის პროცესში ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის თვალსაზრისით არსებულ მდგომარეობაზე.

5.5. კერძო სექტორს, სამოქალაქო საზოგადოებასა და შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებს შორის დიალოგის ხელშეწყობა კორპორატიულ სოციალურ პასუხისმგებლობასთან, გამჭვირვალობასა და ანგარიშგებასთან დაკავშირებულ საკითხებზე გაერთიანებული ერების „უფლებების დაცვაზე, პატივისცემასა და აღდგენაზე მიმართული ღონისძიებების“ ჩარჩოს მოთხოვნების შესაბამისად. ასევე, ხელი უნდა შეეწყოს კერძო სექტორის ჩართვას წინამდებარე სახელმძღვანელოს პოპულარიზაციასა და გავრცელებაში.

5.6. სამოქალაქო საზოგადოების მიერ სახელმძღვანელოს გავრცელებისა და გამოყენების ხელშეწყობა, რაც ინტერნეტ მომხმარებლებისათვის მათი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ეფექტური ინსტრუმენტი იქნება.

დანართი რეკომენდაციისადმი CM/Rec(2014)6

შესავალი

1. წინამდებარე სახელმძღვანელო წარმოადგენს ინსტრუმენტს ინტერნეტ მომხმარებლისათვის, რათა ისინი უკეთ იყვნენ ინფორმირებული საკუთარი უფლებების თაობაზე ონლაინ სივრცეში, ასევე ამ უფლებების შესაძლებელ შეზღუდვებზე, და უფლებების აღდგენის საშუალებებზე. ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის ვალდებულება როგორც ონლაინ, ასევე ოფლაინ პირობებზე ვრცელდება. მოცემული პრინციპი გულისხმობს სხვა ინტერნეტ მომხმარებლების ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების პატივისცემას. წინამდებარე სახელმძღვანელო ინფორმაციას გაწვდით იმის შესახებ, თუ რა მოიაზრება უფლებებსა და თავისუფლებებში ინტერნეტით სარგებლობის კონტექსტში, როგორ შეიძლება ამ უფლებებითა და თავისუფლებებით პრაქტიკაში სარგებლობა, და როგორ შეიძლება სამართლებრივი დაცვის საშუალებების წვდომა. მოცემული დოკუმენტი პერიოდულ გადახედვას ექვემდებარება.

2. წინამდებარე სახელმძღვანელო ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასა და ევროპის საბჭოს სხვა კონვენციებსა და ინსტრუმენტებს ეფუძნება, რომლებიც ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებულ ასპექტებს არეგულირებენ. ევროპის საბჭოს ყველა წევრი ქვეყანა ვალდებულია პატივი სცეს, დაიცვას და შეასრულოს იმ ინსტრუმენტებით დაცული უფლებები და თავისუფლებები, რომელთა რატიფიცირებაც მოახდინეს. სახელმძღვანელო ასევე შემუშავებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს და ევროპის საჭოს სხვა სამართლებრივი ინსტრუმენტების მიერ ამ უფლებებისა და თავისუფლებების ინტერპრეტაციისა და განმარტებების გათვალისწინებით.

3. სახელმძღვანელო არ ადგენს ახალ ადამიანის უფლებებს და ძირითად თავისუფლებებს, არამედ არსებულ ადამიანის უფლებების სტანდარტებსა და აღსრულების მექანიზმებს ეფუძნება[1].

1. წინამებარე სახელმძღვანელო ევროპის საბჭოს 47 წევრი სახელმწიფოს მინისტრთა კომიტეტის მიერ მიღებული რეკომენდაციის ნაწილს წარმოადგენს. წინამდებარე სახელმძღვანელოს ინტერპრეტაციასთან დაკავშირებული უფრო დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ რეკომენდაციის თაობაზე მომზადებულ განმარტებით მემორანდუმში.

წვდომა და დისკრიმინაციის დაუშვებლობა

1. ინტერნეტზე წვდომა ადამიანის უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობისა და დემოკრატიული საზოგადოების აღმშენებლობაში მონაწილეობის მნიშვნელოვანი საშუალებაა. შესაბამისად, დაუშვებელია თქვენი ნების წინააღმდეგ თქვენთვის ინტერნეტით სარგებლობის შეზღუდვა გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამას სასამართლო ადგენს. გარკვეულ შემთხვევებში, საკონტრაქტო პირობების გამო შესაძლებელია სერვისის მიწოდება შეწყდეს, მაგრამ ასეთი ზომა უკიდურესი საშუალებას უნდა წარმოადგენდეს.

2. თქვენთვის ინტერნეტი ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე უნდა იყოს მისაწვდომი და ფინანსურად ხელმისაწვდომი. თქვენ მაქსიმალური წვდომა უნდა გაგაჩნდეთ ინტერნეტის კონტენტისადმი, აპლიკაციებისადმი და სერვისებისადმი თქვენთვის სასურველი ტექნიკური მოწყობილობების გამოყენებით.

3. თუ თქვენ რაიონში, ან გეოგრაფიულად მოშორებულ ტერიტორიაზე ცხოვრობთ, დაბალი შემოსავალი, და/ან სპეციალური საჭიროებები გაქვთ, ან შეზღუდული შესაძლებლობლების მქონე პირი ხართ, საჯარო ხელისუფლებამ გონივრული ძალისხმევა უნდა გამოიჩინოს და შესაბამისი ზომები გაატაროს, რათა თქვენთვის ინტერნეტის წვდომა უზრუნველყოს.

4. საჯარო ხელისუფლებასთან, ინტერნეტ სერვისის მიმწოდებლებთან, ონლაინ კონტენტისა და მომსახურებების მიმწოდებლებთან, ან მომხმარებელთა სხვა ჯგუფებთან ურთიერთობის პროცესში დაუშვებელია თქვენს მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობა განურჩევლად სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა ნიშნისა.

გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლება

თქვენ უფლება გაქვთ მოიძიოთ, მიიღოთ, და გაუზიაროთ სხვებს ინფორმაცია და თქვენი მოსაზრებები თქვენი შეხედულებისამებრ, საჯარო ხელისუფლების მხრიდან ყოველგვარი ჩარევისა და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად. ეს გულისხმობს:

1. თქვენ ონლაინ სივრცეში გამოხატვისა და ინფორმაციაზე წვდომის თავისუფლება და ასევე სხვა ადამიანების მოსაზრებებისა და შეხედულებებისადმი წვდომის უფლება გაქვთ. ეს მოიცავს პოლიტიკური და რელიგიური მოსაზრებების, ასევე ისეთი მოსაზრებების გამოხატვის უფლებას, რომლებიც შეიძლება პოზიტიურად იყონ აღქმული, ან არ იყონ შეურაცხმყოფელი; აქ ასევე იგულსიხმება ისეთი მოსაზრებების გამოხატვის უფლება, რომლებიც შეიძლება შეურაცხმყოფელი, შოკისმომგვრელი ან შემაშფოთებელი იყონს. თქვენ პატივი უნდა სცეთ სხვა ადამიანების რეპუტაციას და უფლებებს, მათ შორის პირადი ცხოვრების უფლებას.

2. შეზღუდვები შეიძლება დაწესდეს ისეთ გამონათქვამებზე, რომლებიც აქეზებენ დისკრიმინაციას, სიძულვილს ან ძალადობას. ასეთი შეზღუდვები უნდა იყოს მართლზომიერი, მკაფიოდ განსაზღვრული, და მათი აღსრულება სასამართლოს ზედამხედველობით უნდა ხორციელდებოდეს.

3. თქვენ უფლება გაქვთ შექმნათ, გამოიყენოთ, ან გაავრცელოთ კონტენტი ინტელექტუალური საკუთრებისა და საავტორო უფლებების პატივისცემითა და შესაბამისი მოთხოვნების დაცვით.

4. საჯარო ხელისუფლება ვალდებულია პატივი სცეს და დაიცვას თქვენი გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლება. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის შესაბამისად, ამ უფლების შეზღუდვა არ უნდა მოხდეს მიკერძოებულად და იგი ლეგიტიმურ მიზანს უნდა ემსახურებოდეს. ასეთ მიზნებს შეიძლება მიეკუთვნებოდეს ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესები, საზოგადოების ჯანმრთელობის ან მორალის დაცვა და სხვა, და ამ უფლებების შეზღუდვა ადამიანის უფლებათა სფეროს სამართლის ნორმების დაცვით უნდა განხორციელდეს. თქვენ ინფორმირებული უნდა იყოთ უფლებების შეზღუდვის თაობაზე და ასევე უნდა მოგეწოდოთ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ სად შეგიძლიათ მიმართოთ დახმარების მიღებისა და უფლებების აღდგენის მიზნით. გარდა ამისა, უფლებების შეზღუდვა არ უნდა იყოს არათანაზომიერი, და არ უნდა გაგრძელდეს იმაზე უფრო მეტი ხნის განმავლობაში, ვიდრე ეს აუცილებელია ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად.

5. თქვენს ინტერნეტ პროვაიდერს და ონლაინ კონტენტის და მომსახურეობების პროვაიდერებს კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა გააჩნიათ, რაც გულისხმობს, რომ ისინი ვალდებული არიან პატივი სცენ თქვენს ადამიანის უფლებებს და შესაბამისი მექანიზმები უნდა გააჩნდეთ, რათა თქვენს პრეტენზიებზე რეაგირება მოახდინონ. თქვენ ინფორმირებული უნდა იყოთ იმის თაობაზე, რომ ისეთი ონლაინ მომსახურებების მიმწოდებლები, როგორიცაა სოციალური ქსელები, მათი პოლიტიკის შესაბამისად უფლებამოსილი არიან შეზღუდონ გარკვეული სახის კონტენტი და ქცევა. თქვენ უნდა იცოდეთ კონტენტის შესაძლებელი შეზღუდვების თაობაზე, რათა ინფორმირებული გადაწყვეტილება მიიღოთ იმის შესახებ, ისარგებლოთ სერვისით თუ არა. ეს გულისხმობს თქვენთვის ინფორმაციის მოწოდებას იმის თაობაზე, თუ რა სახის კონტენტი და ქცევა მიაჩნია ონლაინ სერვისების პროვაიდერს უკანონოდ ან მიუღებლად მისი სერვისით სარგებლობისას, და როგორ უზრუნველყოფს სერვის პროვაიდერი თავისი პოლიტიკის დაცვას.

6. თქვენ უფლება გაქვთ არ გაამჟღავნოთ თქვენი ნამდვილი ვინაობა ონლაინ სივრცეში და შეგიძლიათ ისარგებლოთ ფსევდონიმით. აღსანიშნავია, რომ თქვენ უნდა იცოდეთ იმის შესახებ, რომ ეროვნული სახელისუფლებო ორგანოები უფლებამოსილი არიან გარკვეული ზომები გაატარონ თქვენი ვინაობის დადგენის მიზნით.

შეკრების, გაერთიანებისა და მონაწილეობის თავისუფლება

თქვენ ინტერნეტის საშუალებით მშვიდობიანი შეკრებისა და სხვებთან გაერთიანების უფლება გაქვთ. პრაქტიკაში ეს შემდეგს ნიშნავს:

1. თქვენ უფლება გაქვთ აირჩიოთ ნებისმიერი ვებგვერდი, აპლიკაცია ან სერვისი იმისთვის, რომ შეუერთდეთ, მობილიზება მოახდინოთ, ან მონაიწლეობა მიიღოთ სოციალური ჯგუფების და გაერთიანებების საქმიანობაში, დამოუკიდებლად იმისა, ისინი ოფიციალურად აღიარებული არიან საჯარო ხელისუფლების მიერ, თუ არა. თქვენ აგრეთვე შეგიძლიათ გამოიყენოთ ინტერნეტი, რათა შექმნათ ან გაერთიანდეთ პროფესიულ კავშირებში.

2. თქვენ უფლება გაქვთ ონლაინ რეჟიმში მშვიდობიანი პროტესტი გამოხატოთ. იმავდროულად, თქვენ უნდა იცოდეთ, რომ იმ შემთხვევაში, თუ თქვენს მიერ ორგანიზებული ონლაინ პროტესტი სერვისების დაბლოკვას, შეფერხებას, და/ ან სხვისი ქონებისადმი ზიანის მიყენებას გამოიწვევს, თქვენ შეიძლება ამასთან დაკავშირებით პასუხისმგებლობა დაგეკისროთ.

3. თქვენ უფლება გაქვთ გამოიყენოთ არსებული ონლაინ ინსტრუმენტები ადგილობრივ, ეროვნულ და გლობალურ პოლიტიკურ დებატებში, საკანონმდებლო ინიციატივებში და გადაწყვეტილებების საჯარო განხილვის პროცესებში მონაწილეობის მისაღებად; თქვენ ასევე უფლება გაქვთ ხელი მოაწეროთ პეტიციებს და მონაწილეობა მიიღოთ ინტერნეტის მართვასთან დაკავშირებული პოლიტიკის თაობაზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

პირადი ცხოვრებისა და მონაცემთა დაცვის უფლება

ინტერნეტით სარგებლობისას დაცული იყოს თქვენი პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლება, რაც გულისხმობს თქვენი პირადი მონაცემების დაცვას და თქვენი კორესპონდენციისა და კომუნიკაციის კონფიდენციალურობის პატივისცემას. ეს შემდეგს გულისხმობს:

1. თქვენ უნდა იცოდეთ, რომ ინტერნეტით სარგებლობის პროცესში თქვენი პირადი მონაცემები რეგულარულად გადის დამუშავებას. ეს ხდება როდესაც თქვენ ისეთი სერვისებით სარგებლოთ, როგორიცაა ბრაუზერი, ელექტრონული ფოსტა, ელექტრონული შეტყობინებები, „ვოისოვერ“ ინტერნეტ პროტოკოლები, სოციალური ქსელები, საძიებო სისტემები და „ქლაუდში“ მონაცემთა შენახვის სერვისები.

2. საჯარო ხელისუფლება და კერძო კომპანიები ვალდებულნი არიან დაიცვან შესაბამისი წესები და პროცედურები თქვენი პირადი მონაცემების დამუშავების პროცესში.

3. თქვენი პირადი მონაცემების დამუშავება მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებშია ნებადართული, ან როდესაც თქვენ ამაზე თანხმობა განაცხადეთ. თქვენ ინფორმაცია უნდა მოგეწოდოთ იმის თაობაზე, თუ რა სახის პირადი მონაცემების დამუშავება და/ან მესამე მხარეებისთვის გადაცემა ხდება, როდის , ვინ ამუშავებს მონაცემებს, და რა მიზნით ხორციელდება ეს. ზოგადად, თქვენ საშუალება უნდა გქონდეთ გააკონტროლოთ თქვენი პირადი მონაცემები (მონაცემთა სიზუსტის შემოწმება, მონაცემებში შესწორებების შეტანის ან წაშლის თაობაზე თხოვნით მიმართვა, ასევე მოთხოვნა, რომ თქვენი პირადი მონაცემები არ იყოს შენახული იმაზე მეტი ხნის განმავლობაში, ვიდრე ამას საჭიროება მოითხოვს).

4. თქვენს მიმართ არ უნდა იყოს გატარებული თვალთვალისა და მიყურადების ღონისძიებები. კანონით დადგენილ გამონაკლის შემთხვევებში, კერძოდ კი სისხლის სამართალწარმოებასთან დაკავშირებით, დაშვებულია თქვენი პირადი მონაცემების მოძიება და გამოყენება. ასეთ შემთხვევებში თქვენ უნდა მოგეწოდოთ ზუსტი და ნათელი ინფორმაცია თქვენი უფლებების, შესაბამისი კანონმდებლობის მოთხოვნებისა ან და პოლიტიკის თაობაზე.

5. თქვენი კერძო ცხოვრების უფლება თქვენს სამუშაო ადგილასაც უნდა იყოს დაცული. ეს გულისხმობს თქვენი კერძო ონლაინ კორესპონდენციისა და კომუნიკაციის კონფიდენციალურობის დაცვას. თქვენმა დამსაქმებელმა ინფორმაცია უნდა მოგაწოდოთ იმის თაობაზე, რომ თქვენს მიმართ თვალთვალი, ან/და მონიტორინგი ხორციელდება.

6. თქვენ დახმარება უნდა გაგიწიონ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელმა სტრუქტურება, რომლებიც ევროპის ქვეყნების უმეტესობაში არსებობს, რათა უზრუნველყოფილი იყოს მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული კანონმდებლობისა და პრინციპების დაცვა.

განათლება და წიგნიერება

თქვენ გაქვთ განათლების, მათ შორის ცოდნაზე წვდომის უფლება. ეს გულისხმობს:

1. თქვენ უნდა გაგაჩნდეთ ონლაინ წვდომა ოფიციალურ ენებზე არსებულ საგანმანათლებლო, კულტურულ, სამეცნიერო, აკადემიურ და სხვა სახის კონტენტზე. ასეთ წვდომასთან დაკავშირებით შეიძლება გარკვეული პირობები ვრცელდებოდეს, მაგალითად საავტორო უფლებების მფლობელებისთვის მათი ნაშრომისთვის ჰონორარის გადახდა. თქვენ ასევე თავისუფალი წვდომა უნდა გქონდეთ საჯარო დაფინანსებით განხორციელებული კვლევებისა და კულტურის სფეროს ნაწარმოებებზე, რომლებიც საჯაროდ არის გამოქვეყნებული ინტერნეტით (საჯარო დომეინზე).

2. ინტერნეტ და მედია წიგნიერების ნაწილს წარმოადგენს თქვენი უფლება გქონდეთ წვდომა ციფრულ განათლებასა და ცოდნაზე, რათა ინტერნეტით თქვენი უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზაცია შეძლოთ. ეს მოიცავს ინტერნეტ ინსტრუმენტების ფართო დიაპაზონის გაგების, სარგებლობის და მუშაობის შესაძლებლობას, რაც საშუალებას მოგცემთ კრიტიკულად გააანალიზოთ იმ კონტენტის, აპლიკაციების და სერვისების სისწორე და სანდოობა, რომელთა წვდომა გაქვთ, ან დაინტერესებული ხართ მათ წვდომაში.

ბავშვები და ახალგაზრდები

თუ თქვენ ბავშვი ან ახალგაზრდა ხართ, თქვენ გაქვთ ყველა ის უფლება და თავისუფლება, რაც წინამდებარე სახელმძღვანელოშია განხილული. კერძოდ, თქვენი ასაკის გათვალისწინებით, ინტერნეტით სარგებლობასთან მიმართებაში თქვენ განსაკუთრებული დაცვით და მხარდაჭერით უნდა სარგებლობდეთ. ეს გულისხმობს შემდეგს:

1. თქვენ უფლება გაქვთ თავისუფლად გამოხატოთ თქვენი შეხედულებები, მონაწილეობა მიიღოთ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მოსმენილი და გათვალისწინებული იყოს თქვენი აზრი და თქვენი წვლილი შეიტანოთ გადაწყვეტილებების მიღებაში ისეთ საკითხებზე, რომლებიც თქვენზე ახდენენ ზეგავლენას. თქვენი მოსაზრებები გათვალისწინებული უნდა იყვნენ თქვენი ასაკისა და სიმწიფის შესაბამისად, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.

2. თქვენ უფლება გაქვთ მიიღოთ ინფორმაცია და მხარდაჭერა თქვენი ასაკისთვის შესაბამის (გასაგებ) ენაზე თქვენი მასწავლებლებისაგან, აღმზრდელისაგან, მშობლებისაგან ან მეურვეებისგან ინტერნეტით უსაფრთხო სარგებლობასთან და იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ დაიცვათ თქვენი პირადი ცხოვრება.

3. თქვენ უნდა იცოდეთ, რომ ის კონტენტი, რომელსაც თქვენ ინტერნეტში ქმნით, ან კონტენტი, რომელსაც ინტერნეტით სხვა მომხმარებლები ქმნიან თქვენს შესახებ, შეიძლება გლობალურად მისაწვდომი იყოს და გამოიწვიოს თქვენი ღირსების შელახვა, პირადი ცხოვრებისა და უსაფრთხოების ხელყოფა, ან დაარღვიოს თქვენი უფლებები თქვენი ცხოვრების მიმდინარე, ან მომავალ ეტაპზე. ეს კონტენტი თქვენი თხოვნით ამოღებული, ან წაშლილი უნდა იყოს შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში.

4. თქვენ უფლება გაქვთ მიიღოთ ნათელი ინფორმაცია უკანონო ონლაინ კონტენტისა და ქცევის თაობაზე (მაგალითად, ონლაინ ძალადობა), ასევე იმის შესახებ, რომ თქვენ შეგიძლიათ განაცხადოთ უკანონო ონლაინ კონტენტის თაობაზე. ეს ინფორმაცია თქვენი ასაკისთვის შესაბამის ენაზე უნდა მოგეწოდოთ და საჭიროების შემთხვევაში, თქვენ რჩევით და მხარდაჭერით სარგებლობის საშუალება უნდა გქონდეთ თქვენს შესახებ პირადი ინფორმაციის კონფიდენციალურობისა და ანონიმურობის დაცვით.

5. ინტერნეტის ან კიბერდანაშაულის სხვა ფორმების გამოყენების გზით თქვენი ფიზიკური, სულიერი და მორალური კეთილდღეობის შელახვისგან, განსაკუთრებით კი სექსუალური ძალადობისგან თქვენი დაცვის მიზნით თქვენ განსაკუთრებული მხარდაჭერით და დაცვით სარგებლობის საშუალება უნდა გქონდეთ. კერძოდ, თქვენ უფლება გაქვთ მიიღოთ შესაბამისი ინფორმაცია ამ საფრთხეებისაგან საკუთარი თავის უკეთ დაცვის მიზნით.

სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალებებზე წვდომის უფლება

1. თქვენ უფლება გაქვთ ისარგებლოთ სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალებებით, თუ ადგილი ექნება თქვენს მიმართ ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დარღვევას ან შეზღუდვას. იმისთვის, რომ თქვენთვის მისაწვდომი გახდეს სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალებები, არ არის სავალდებულო, რომ მაშინვე სარჩელი აღძრათ. სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალებები ფიზიკურად და ფინანსურად მისაწვდომი უნდა იყოს, თქვენ ინფორმირებული უნდა იყოთ მათ თაობაზე, და ეს საშუალებები უფლებების ეფექტურად აღდგენას უნდა უზრუნველყოფდნენ. სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალებები შეიძლება პირდაპირ ინტერნეტ პროვაიდერმა, საჯარო ხელისუფლებამ, და/ან ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებზე პასუხისმგებელმა ეროვნულმა ინსტიტუტებმა უზრუნველყონ. დარღვევის ხასიათის გათვალისწინებით, სამართლებრივი დაცვის ეფექტურ საშუალებებად შეიძლება მოიაზრებოდეს მოკვლევა, განმარტება, რეაგირება, გამოსწორება, ბოდიშის მოხდა, უფლებების აღდგენა, კავშირის აღდგენა, კომპენსაცია და სხვ. პრაქტიკაში ეს გულისხმობს:

1.1. თქვენმა ინტერნეტ სერვის პროვაიდერმა, ონლაინ კონტენტისა და სერვისების პროვაიდერებმა, ან სხვა კომპანიებმა და/ან საჯარო ხელისუფლებამ ინფორმაცია

უნდა მოგაწოდონ თქვენი უფლებების, თავისუფლებების, სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალებებისა და იმის თაობაზე, თუ სად მიმართოთ ამ საშუალებებით სარგებლობისთვის. ეს გულისხმობს ადვილად მისაწვდომ ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ როგორ განაცხადოთ ან იჩივლოთ თქვენი უფლებების დარღვევის ან შეზღუდვის თაობაზე, და როგორ მიაღწიოთ თქვენი უფლებების აღდგენას.

1.2. საჯარო ხელისუფლებამ, ადამიანის უფლებების დამცველმა ეროვნულმა ინსტიტუტებმა (მაგალითად ომბუდსმენის ოფისი), მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელმა სააგენტოებმა, მოქალაქეთა კონსულტაციის ცენტრებმა, ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციებმა, ციფრულ უფლებათა დაცვის ასოციაციებმა, ან მომხმარებელთა უფლებების დაცვის ორგანიზაციებმა დამატებითი ინფორმაცია და მხარდაჭერა უნდა მოგაწოდონ ამ საკითხებთან დაკავშირებით.

1.3. ეროვნული ხელისუფლებები ვალდებული არიან დაგიცვან ინტერნეტის გამოყენებით კრიმინალური საქმიანობისა, ან სისხლის სამართლის დანაშაულისგან, განსაკუთრებით როდესაც საქმე ეხება თქვენი ციფრული იდენტობის და კომპიუტერში დაცულ მონაცემებზე უკანონო წვდომას, გაყალბებას, ან სხვა სახის თაღლითურ მანიპულირებას. შესაბამისმა სამართალდამცავმა სტრუქტურებმა ქმედითი ზომები უნდა გაატარონ და სანქციები დააკისრონ სამართალდამრღვევებს თქვენი პირადი იდენტობის ან თქვენი ონლაინ კონტენტისთვის ზიანის მიყენების ან არამართლზომიერი ჩარევის შემთხვევაში.

2. ინტერნეტთან დაკავშირებით თქვენი უფლებებისა და ვალდებულებების განსაზღვრასა და თქვენს წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივ დევნასთან მიმართებაში:

2.1. თქვენ სამართლიანი სასამართლოს უფლება გაქვთ და თქვენი საქმე გონივრულ ვადაში უნდა იყოს განხილული დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.

2.2. თქვენ უფლება გაქვთ ინდივიდუალური განაცხადი წარუდგინოთ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს სამართლებრივი დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებების ამოწურვის შემდეგ.

მინისტრთა კომიტეტის დოკუმენტები

CM(2014)31 საბოლოო რედაქცია, 2014 წლის 16 აპრილი

მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2014)6 წევრი სახელმწიფოებისათვის ინტერნეტ მომხმარებლებისთვის ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული სახელმძღვანელოს თაობაზე - განმარტებითი მემორანდუმი

შესავალი

1. ინტერნეტი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაში და საზოგადოების სხვადასხვა ასპექტებში. იგი მუდმივად ვითარდება და მოქალაქეებს ინფორმაციის და სერვისების მიღების, დაკავშირების და კომუნიკაციის და გლობალურ დონეზე ცოდნისა და იდეების გაზიარების საშუალებას აძლევს. გარდა ამისა, იზრდება ინტერნეტის ზეგავლენა სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ სფეროებზე.

2. აღსანიშნავია, რომ სულ უფრო იზრდება ინტერნეტთან დაკავშირებული საქმეების რაოდენობა, რომლებიც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განსახილველადაა წარდგენილი („სასამართლო”).[2] სასამართლო ადასტურებს, რომ „ინტერნეტი ამჟამად ერთ-ერთი ძირითადი საშუალება გახდა, რომლის მეშვეობითაც ადამიანები გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლებით სარგებლობენ და იგი ადამიანებს პოლიტიკურ და საზოგადოებისთვის აქტუალურ საკითხებზე დისკუსიებში და საზოგადოებრივ აქტივობებში მონაწილეობის მიღებისთვის საჭირო ინსტრუმენტებით უზრუნველყოფს“[3].

3. ევროპის საბჭოს 2012-2015 წლების ინტერნეტის მმართველობის სტრატეგიაში ხაზგასმულია ინტერნეტ მომხმარებლების უფლებების მნიშვნელობა. დოკუმენტის თავში „ინტერნეტ მომხმარებელთა უფლებებისა და თავისუფლებების მაქსიმალიზაცია“, რომლის მიზანია ინტერნეტზე წვდომის და ეფექტური სარგებლობის ხელშეწყობა, მოქმედებების ერთ-ერთ მიმართულებად დასახელებულია შემდეგი: მომხმარებლები არსებული ადამიანის უფლებების თაობაზე სახელმძღვანელოს მომზადება, რათა უზრუნველყოფილი იყოს, რომ მათი უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის შემთხვევაში მათ დახმარება გაეწიოთ ინტერნეტ პრო-

2. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ინტერნეტთან დაკავშირებული პრეცედენტული სამართლის გასაცნობად იხილეთ საცნობარო ფურცელი ახალ ტექნოლოგიებზე, 2013 წლის ოქტომბერი.
3. იხილეთ ილდიმირი თურქეთის წინააღმდეგ, No. 3111/10 § 54.

ვაიდერებსა და საჯარო სტრუქტურებთან კომუნიკაციასა და საკუთარი უფლებების გამოსწორებაზე მიმართული მექანიზმების წვდომაში, კერძოდ კი, ინციდენტების შესახებ განცხადებაში, საჩივრების წარდგენაში, და პასუხის უფლებით, ან უფლებების აღდგენის სხვა ფორმით სარგებლობაში.

წინაპირობები და კონტექსტი

4. მედიისა და საინფორმაციო საკითხებზე ზედამხედველობის კომიტეტმა (CDMSI), თავის პირველ შეხვედრაზე, რომელიც 2012 წლის 27-30 აპრილს ჩატარდა, მინისტრთა კომიტეტს ინტერნეტ მომხმარებელთა უფლებების დაცვის ექსპერტთა კომიტეტის შექმნის წინადადებით მიმართა (MSI-DUI) და ზემოთხსენებული კომიტეტის ტექნიკური დავალების პროექტი შეიმუშავა. CDMSI-ის წინადადების საფუძველზე მინისტრთა კომიტეტმა 2012 წლის 6 ივლისს შემდგარ მინისტრთა მოადგილეების 1147-ე შეხვედრაზე დაამტკიცა შემოთავაზებული ტექნიკური დავალება.[4] ტექნიკური დავალების შესაბამისად, MSI-DUI-ს საქმიანობის მოსალოდნელი შედეგებია:

“ინტერნეტ მომხმარებელთა უფლებების შესახებ სახელმძღვანელოს მიზანია ინტერნეტ მომხმარებელთა უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის შემთხვევაში მათთვის დახმარების გაწევა ინტერნეტ პროვაიდერებსა და საჯარო სტრუქტურებთან კომუნიკაციასა და საკუთარი უფლებების გამოსწორებაზე მიმართული მექანიზმების წვდომაში (2013)“

5. MSI-DUI-ს პირველი შეხვედრა შედგა 2012 წლის 13-14 სექტემბერს სტრასბურგში. მიღწეული იქნა შეთანხმება, რომ MSI-DUI-ს მუშაობის მიზანს არ წარმოადგენს ახალი ადამიანის უფლებების განსაზღვრა, არამედ მისი მიზანია საყოველთაოდ აღიარებული ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით არსებული ვითარების შესწავლა ინტერნეტით სარგებლობის კონტექსტში. MSI-DUI-მ გადაწყვეტილება მიიღო შეეგროვებინა ინფორმაცია ქსელებისა და მომხმარებელთა ჯგუფებისთვის კითხვარის მიწოდების გზით, რათა გამოევლინა, თუ რა პრობელემებს აწყდებიან ინტერნეტ მომხმარებლები, ასევე დაედგინა, თუ რა მდგომარეობაა მათი ადამიანის უფლებების დარღვევისა, და ამ დარღვევების გამოსწორებაზე მიმართული საშუალებების თვალსაზრისით.

6. ინტერნეტ მმართველობის ფორუმის ფარგლებში სემინარზე „ინტერნეტ მომხმარებელთა უფლებამოსილების გაზრდა - რა ინსტრუმენტები უნდა იყოს გამოყენებული ამ მიზნით?“, კონსულტაციები ჩატარდა მონაწილე და დაინტერესებულ მხარეებთან (2012 წლის 6-9 ნოემბერი, ბაქო). MSI-DUI-ს წევრებმა, რომლებიც მოცემულ ფორუმში მონაწილეობას იღებდნენ, გამოიყენეს შესაძლებლობა მონაწილე მხარეებისგან სახელმძღვანელოსთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხების თაობაზე ინფორმაციული უკუგების მისაღებად. სემინარზე გამართული დისკუსიებიდან გამოიკვეთა ის პრობლემები, რომლებსაც ინტერნეტ მომხმარებლები აწყდებიან, მათ შორის მომხმარებლის მიერ გენერირებული კონტენტის წაშლა დადგენილი წესების დარღვევით, და პერსონალური მონაცემების დაცვასთან და სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალებების მიუწვდომლობასთან დაკავშირებული პრობლემები.

4. იხილეთ CM(2012)91.

7. MSI-DUI-ს მეორე შეხვედრა სტრასბურგში 2012 წლის 13-14 დეკემბერს შედგა. მოცემულ შეხვედრაზე განხილული იქნა სხვადასხვა მონაწილე და დაინტერესებული მხარეების მიერ კითხვარში დასმულ შეკითხვებზე გაცემული პასუხები და მათთან შეხვედრებისა და დისკუსიების შედეგად მიღებული ინფორმაცია. MSI-DUI-მ გადაწყვეტილება მიიღო დაესრულებინა ინფორმაციის მოძიებასა და ანალიზზე მიმართული საწყისი ეტაპი და ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით დაეწყო მუშაობა სახელმძღვანელოს შედგენაზე. მოცემულ შეხვედრაზე სახელმძღვანელოს პირველი პროექტის მონახაზი შემუშავდა.

8. MSI-DUI-მ თავის მესამე შეხვედრაზე, რომელიც სტრასბურგში 2013 წლის 20-21 მარტს შედგა, დეტალურად შეისწავლა გამოხატვის თავისულებასთან, პირადი ცხოვრების უფლებასთან, შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლებასთან, ონლაინი უსაფრთხოებასთან, განათლების უფლებასთან, ბავშვის უფლებებთან, დისკრიმინაციის დაუშვებლობასა და სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალებების უფლებასთან დაკავშირებული საკითხები. ზემოთხსენებული ანალიზი ევროპის საბჭოს სავალდებულო და არა-სავალდებულო სტანდარტების და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გათვალისწინებით განხორციელდა. MSI-DUI-მ ასევე განიხილა ის ინსტრუმენტი, რომლის მიღებაც ევროპის საბჭოს შეუძლია სახელმძღვანელოს დასამტკიცებლად. ინსტრუმენტი ორ მიზანს უნდა ემსახურებოდეს: ინტერნეტ მომხმარებლებისთვის მარტივ და ნათელ ინსტრუქციებს უნდა აწვდიდეს ონლაინ კონტექსტში მათ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით, და უზრუნველყოს წევრი სახელმწიფოების მიერ ტექსტის მიღება, რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციითა (ECHR) და ევროპის საბჭოს სხვა სტანდარტებით დაკისრებულ ვალდებულებებთანაა შესაბამისობაში.

9. CDMSI-მა მესამე შეხვედრაზე, რომელიც სტრასბურგში 2013 წლის 23-26 აპრილს შედგა, გადაწყვეტილება მიიღო, რომ სახელმძღვანელო ოფიციალური და იმავდროულად, გამარტივებულ ენით უნდა იყოს დაწერილი, თუმცა თავიდან უნდა ყოფილიყო აცილებული ადამიანის უფლებების სფეროში არსებული სტანდარტებისა და ევროპული სასამართლოს იურისპრუდენციის ზედმეტად გამარტივებული სახით წარმოჩენა. გარდა ამისა, ხაზგასმული იქნა სახელმძღვანელოს პერიოდული გადასინჯვის მიზანშეწონილობა, რათა მასში სათანადოდ ყოფილიყო ასახული ინტერნეტთან დაკავშირებული პოლიტიკის სწრაფი განვითარება და ცვლილებები. CDMSI-მ ასევე გადაწყვიტა სახელმძღვანელოს პროექტთან დაკავშირებით კომენტარები წარედგინა, რომელიც კონსულტაციების პერიოდისთვის პროექტის სახეს ატარებდა, რადგანაც როგორც CDMSI-მ აღნიშნა, მოცემული დოკუმენტი ჯერ კიდევ დახვეწის პროცესს გადიოდა და მიზანშეწონილი იყო მისი შემუშავების პროცესის ხელმძღვანელობა და მხარდაჭერა. მიღებული ინფორმაციული უკუგებიდან ნათელი გახდა, რომ MSI-DUI-ს მიერ შემოთავაზებული მიდგომა, რომლის შესაბამისადაც უნდა შემუშავებულიყო ინტერნეტ მომხმარებლებზე ორიენტირებული და მათი ინფორმირებულობის დონის ამაღლებაზე მიმართული დოკუმენტი, რომელშიც განსაკუთრებული ყურადღება იქნებოდა გამახვილებული გამოხატვის თავისუფლებაზე, პირადი ცხოვრების უფლებაზე, განათლების უფლებაზე, ბავშთა უფლებებზე და კიბერდანაშაულისგან დაცვაზე, მხარეებისთვის მისაღები აღმოჩნდა.

10. სახელმძღვანელოს პროექტი განსახილველად წარედგინა მონაწილე და დაინტერესებულ მხარეების ინტერნეტის მმართველობის საკითხებზე ევროპული დიალოგის ფარგლებში (EuroDIG, 2013 წლის 20-21 ივნისი, ლისაბონი) გამართულ სემინარზე „გზა ჰუმანური ინტერნეტისკენ? ჩვენს ონლაინ მომავალთან დაკავშირებული წესები, უფლებები და პასუხისმგებლობები“. ლისაბონში MSI-DUI-ს წევრების არაფორმალური შეხვედრა ჩატარდა, რომლებიც სემინარს ესწრებოდნენ. მიჩნეული იქნა, რომ სახელმძღვანელო უნდა შემოკლდეს, რათა იგი უფრო მისაღები და გასაგები იყოს ინტერნეტ მომხმარებლებისთვის. ამ დისკუსიებისა და კონფერენციის სესიებს შორის შემდგარი MSI-DUI-ს წევრების სამუშაო შეხვედრის შედეგად 2013 წლის 10 სექტემბერს სტრასბურგში MSI-DUI-ს წევრების რიგგარეშე შეხვედრა შედგა. MSI-DUI-მ შეისწავლა მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის პროექტი ინტერნეტ მომხმარებლების ადამიანის უფლებების თაობაზე, რომელშიც დანართის სახით შედიოდა სახელმძღვანელო ინტერნეტ მომხმარებლების ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების თაობაზე. ზემოთხსენებული სახელმძღვანელო პირდაპირ ინტერნეტ მომხმარებლებზე იყო ორიენტირებული. ამ მიდგომის გათვალისწინებით, მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ სახელმძღვანელოს სათაური უნდა შეცვლილიყო და შემოთავაზებული იქნა დასათაურება „სახელმძღვანელო ინტერნეტ მომხმარებლებისთვის ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებზე“

11. MSI-DUI-ს ბოლო შეხვედრაზე, რომელიც გაიმართა 2013 წლის 1-2 ოქტომბერს სტრასბურგში, MSI-DUI-მ შეაჯერა და საბოლოო სახით შეიმუშავა CDMSI-სთვის წარსადგენი მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის პროექტი ინტერნეტ მომხმარებლებისთვის ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული „სახელმძღვანელოს თაობაზე (შემდგომში მოხსენიებული როგორც „სახელმძღვანელო“). შეთანხმდა, რომ უნდა ჩატარებულიყო ფართო კონსულტაციები, მათ შორის ევროპის საბჭოს ღია ფორუმი სახელმძღვანელოსთან დაკავშირებით, რომლის ჩატარება ინტერნეტის მმართველობის ფორუმის ფარგლებში დაიგეგმა (2013 წლის 22-25 ოქტომბერი, ინდონეზია). კერძო სექტორის, სამოქალაქო საზოგადოების, ტექნიკური და აკადემიური წრეების წარმომადგენლებს თხოვნით მიმართეს სახელმძღვანელოსთან დაკავშირებით საკუთარი კომენტარები და წინადადებები წარედგინათ. გარდა ამისა, რეკომენდაციის პროექტთან დაკავშირებით არაფორმალური კომენტარებისა და მოსაზრებების წარდგენის თაობაზე თხოვნით მიემართათ ევროპის საბჭოს შესაბამის მმართველ კომიტეტებს, მათ შორის მმართველ კომიტეტს ადამიანის უფლებებისათვის, სამართლებრივი თანამშრომლობის ევროპულ კომიტეტს (CDCJ), კრიმინალური პრობლემების შემსწავლელ ევროპულ კომიტეტს. (CDPC), ასევე საკონვენციო კომიტეტებს, მათ შორის „პერსონალური მონაცემების ავტომატური გზით დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ კონვენციის“ (T-PD) საკონსულტაციო კომიტეტს, კიბერდანაშაულის თაობაზე კონვენციის კომიტეტს (T-CY), ტერორიზმთან დაკავშირებულ საკითხებზე ექსპერტთა კომიტეტს (CODEXTER) და ბავშვთა სექსუალური ძალადობისაგან და სექსუალური ექსპლუატაციისგან დაცვის კონვენციის ხელმომწერი სახელმწიფოების კომიტეტს (T-ES). მოცემულ თხოვნაზე საპასუხოდ CDDH-მ, CDCJ-მ და T-PD ბიუროს წევრებმა კომენტარები წარადგინეს, რომლებიც CDMSI-ის მიერ გათვალისწინებული და ასახული იქნა რეკომენდაციის პროექტში და განმარტებითი მემორანდუმის პროექტში.

12. გარდა ამისა, დამატებით მიღებული იქნა დაახლოებით 30 კომენტარი და მოსაზრებები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების კერძო სექტორის (სატელეკომუნიკაციო კომპანიები, ონლაინ მომსახურებების პროვაიდერები), სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ტექნიკური და აკადემიური წრეების წარმომადგენლებისაგან. ზემოთხსენებული ორგანიზაციების წარმომადგენლები ძირითადად დადებითად აფასებდნენ ევროპის საბჭოს მუშაობას სახელმძღვანელოს პროექტზე და კომენტარებს და რეკომენდაციებს იძლეოდნენ მისი შემდგომი დახვეწის მიზნით.

13. CDMSI-მ თავის მეოთხე შეხვედრაზე, რომელიც 2013 წლის 3-6 დეკემბერს შედგა, განიხილა MSI-DUI-ს წინადადებები მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის პროექტთან დაკავშირებით ინტერნეტ მომხმარებელთათვის ადამიანის უფლებების შესახებ სახელმძღვანელოს თაობაზე. გათვალისწინებული იყო მონაწილე და დაინტერესებულ მხარეებთან ფართო კონსულტაციების შედეგები და რეკომენდაციის პროექტი საბოლოო სახით ელექტრონული ფოსტით წარდგენილი საბოლოო კომენტარების გათვალისწინებით შემუშავდა.

კომენტარები მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციისადმი CM/Rec(2014)6 წევრი სახელმწიფოებისათვის ინტერნეტ მომხმარებელთა ადამიანის უფლებების თაობაზე სახელმძღვანელოსთან დაკავშირებით

14. წინამდებარე რეკომენდაციის მიზანია ევროპის საბჭოს ყველა წევრ ქვეყნებში ინტერნეტთან მიმართებაში ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვისა და ამ უფლებებით სარგებლობის თვალსაზრისით არსებული ვითარების გაუმჯობესების ხელშეწყობა. პირებისა და საზოგადოებისათვის ინტერნეტზე წვდომის გაუმჯობესებისა და მისი ეფექტური გამოყენების ხელშეწყობისათვის საჭიროა ადამიანების ინფორმირება და მათი უფლებამოსილების გაზრდა, რათა მათ სრულად მოახდინონ თავიანთი უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზაცია ინტერნეტ სივრცეში. მოცემული მიდგომა ასახული იქნა მინისტრთა კომიტეტის დეკლარაციაში ინტერნეტის მმართველობის პრინციპების თაობაზე, რომელიც 2011 წელს იყო მიღებული. მოცემულ დეკლრაციაში მინისტრთა კომიტეტმა წარადგინა თავისი ხედვა ინტერნეტის თაობაზე, როგორც ადამიანებზე და ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული ინსტრუმენტისა, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ინტერნეტ მომხმარებლების მიერ მათი უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობას და მოცემული მიდგომა ინტერნეტ მმართველობის ამოსავალ პრინციპად იქნა აღიარებული.

15. რეკომენდაციაზე თანდართული სახელმძღვანელო საბაზისო ინფორმაციას შეიცავს ადამიანის უფლებების ევროპულ კონვენციაში ასახული ზოგიერთი უფლებებისა და თავისუფლებების და ევროპის საბჭოს შესაბამისი სტანდარტების თაობაზე. კერძოდ, სახელმძღვანელოში ყურადღება გამახვილებულია კონკრეტულ უფლებებსა და თავისუფლებებზე და შესაბამის საერთაშორისო სტანდარტებზე, მათ შორის გამოხატვის თავისუფლებაზე, შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლებაზე, პირადი ცხოვრების უფლებასა და პერსონალური მონაცემების დაცვაზე, ბავშთა უფლებებზე და სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალებების მისაწვდომობის უფლებაზე. სახელმძღვანელო მომზადებულია მარტივ და გასაგებ ენაზე. ტექსტის

მაქსიმალური სიმარტივის უზრუნველყოფის მიზნით MSI-DUI-მ გადაწყვიტა არ გამოეყენებინა წევრი სახელმწიფოების ვალდებულებების მარეგულირებელ საერთაშორისო სამართალში და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში გამოყენებული ოფიციალური ენა.

16. ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები ევროპის საბჭოს სხვადასხვა ინსტრუმენტებითაა გარანტირებული, რომლებიც როგორც ოფლაინ, ასევე ონლაინ გარემოზე, და არა მხოლოდ ინტერნეტზე ვრცელდება. კერძოდ, ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები გარანტირებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით და მათი ინტერპრეტაცია ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალშია ასახული. ევროპის საბჭოს მთელი რიგი სხვა კონვენციები და არა-სავალდებულო ხასიათის ინსტრუმენტები დამატებით განმარტებებს სთავაზობენ ინტერნეტ მომხმარებლებს ამ უფლებებში უკეთ ორიენტირების ხელშეწყობის მიზნით. MSI-DUI-მ მიიჩნია, რომ იმისთვის, რომ ინტერნეტ მომხმარებლებმა უკეთ გააცნობიერონ საკუთარი უფლებები და თავისუფლებები, საჭიროა მათ მარტივი ენით განემარტოთ ევროპის საბჭოსა და გაერთიანებული ერების მიერ დამკვიდრებული შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტები.

პრეამბულა

17. პრეამბულაში ასახულია ის მიზეზები, რომელთა გამო მინისტრთა კომიტეტმა მიზანშეწონილად მიიჩნია შეემუშავებინა შესაბამისი რეკომენდაცია წევრი სახელმწიფოებისათვის. რეკომენდაცია იმ პრინციპს ეფუძნება, რომ ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს ვალდებულება გააჩნიათ დაიცვან ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები. ეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მოთხოვნების სასამართლოს მიერ ინტერპრეტაციის შესაბამისად უნდა განხორციელდეს. ევროპის საბჭოს სხვა სამართლებრივად სავალდებულო დოკუმენტებს, რომლებიც მოცემულ სფეროს არეგულირებს, მიეკუთვნება კონვენცია კიბერდანაშაულის შესახებ (შემდგომში მოხსენიებული როგორც „ბუდაპეშტის კონვენცია“), სექსუალური ძალადობისაგან და სექსუალური ექსპლუატაციისგან ბავშვთა დაცვის კონვენცია (CETS No. 201, შემდგომში მოხსენიებული როგორც „ლანსაროტის კონვენცია“) და პერსონალური მონაცემების ავტომატური გზით დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ კონვენცია (ETS No. 108, შემდგომში მოხსენიებული როგორც „108-ე კონვენცია“).

18. მინისტრთა კომიტეტის მიერ მიღებულ სხვა არა-სავალდებულო სტანდარტებს, რომლებიც წევრ სახელმწიფოებს ინტერნეტთან დაკავშირებულ საკითხებზე სახელმძღვანელო დირექტივებს სთავაზობენ, შემდეგი სტანდარტები მიეკუთვნება: მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2007)16 წევრი სახელმწიფოებისათვის ინტერნეტის საჯარო მომსახურების ღირებულების გაზრდაზე მიმართული ღონისძიებების ხელშეწყობის თაობაზე, მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2008)6 წევრი სახელმწიფოებისათვის ინტერნეტ ფილტრების გამოყენებასთან დაკავშირებით გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლების პატივისცემის ხელშეწყობაზე მიმართული ღონისძიებების თაობაზე, მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2010)13 წევრი სახელმწიფოებისათვის პერსონალური მონაცემების ავტომატური გზით დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ პროფილების შედგენის კონტექსტში, მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec

(2011)7 წევრი სახელმწიფოებისათვის მედიის ახალი ცნების შესახებ, მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2012)4 წევრი სახელმწიფოებისათვის სოციალური ქსელების სერვისების კონტექსტში ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ, და მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2012)3 წევრი სახელმწიფოებისათვის საძიებო სისტემების გამოყენებასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ.

19. პრეამბულის მეორე პარაგრაფში განსაზღვრულია სახელმწიფოების ვალდებულება პატივი სცენ, დაიცვან და ხელი შეუწყონ ადამიანის უფლებების დაცვას კერძო კომპანიებზე ზედამხედველობის დანერგვის გზით. მოცემული ვალდებულება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი მუხლიდან გამომდინარეობს, რომლის შესაბამისადაც ხელშემკვრელი მხარეები თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში ყველასათვის უზრუნველყოფენ ამ კონვენციით განსაზღვრული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას. მოცემული ვალდებულება ასევე გულისხმობს არა-საჯარო სექტორის წარმომადგენლების მიერ ადამიანის უფლებების დარღვევის შემთხვევებში შესაბამისი ზომების გატარებას მსგავსი დარღვევების აღმოფხვრის, გამოძიების, დასჯისა და უფლებების აღდგენის მიზნით ეფექტური კანონმდებლობის მიღებისა და შესაბამისი ღონისძიებების გატარების გზით. სასამართლომ თავის განჩინებებში არაერთგზის ისაუბრა სახელმწიფოების პოზიტიურ ვალდებულებაზე დაიცვან ადამიანების უფლებები და ძირითადი თავისუფლებები ინტერნეტით სარგებლობის კონტექსტში, კერძოდ კი გამოხატვის თავისუფლება[5], ბავშვთა და მოზარდთა დაცვა[6], მორალისა და სხვა პირთა უფლებების პატივისცემა[7], რასიზმისა ან ქსენოფობიის გამოხატვასთან ბრძოლა, დისკრიმინაციასა და რასობრივი ნიშნით სიძულვილთან ბრძოლა[8]. გარდა ამისა, სასამართლომ სახელმწიფოებს პასუხისმგებლობა დააკისრა იმასთან დაკავშირებით, რომ მათ ვერ დაიცვეს საკუთარი მოქალაქეები კერძო კომპანიების მოქმედებების შედეგად მათი უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევისაგან[9]. მეორე პარაგრაფი საუბრობს ადამიანის უფლებების საყოველთაო და განუყოფელ ხასიათზე, რაც 1993 წლის 9 ოქტომბერს შემდგარ ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების მეთაურებისა და მთავრობების სამიტზე მიღებულ ვენის დეკლარაციას ეყრდნობა.

20. პრეამბულის მესამე პარაგრაფი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ინტერნეტის, როგორც საჯარო სერვისის ღირებულებას, რაც მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციაში CM/Rec(2007)16 არის ასახული.[10] იმის გათვალისწინებით, რომ ინტერნეტი მნიშვნელოვან როლს ასრულებს მომხმარებელთა ყოველდღიურ საქმიანობაში და აუცილებელია ინტერნეტ მომხმარებელთა ადამიანის უფლებების დაცვა, რეკომენდაციაში ხაზგასმულია, რომ ადამიანები არ უნდა დაექვემდებარონ

5. ილეთ ოზგურ გიუნდემი თურქეთის წინააღმდეგ, No. 23144/93, §§ 42-46.
6. კ. იუ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, No. 2872/02.
7. პეი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, No. 32792/05.
8. ფერეტი ბელგიის წინააღმდეგ, No.15615/07.
9. ლოპეზ ოსტრა ესპანეთის წინააღმდეგ, No. 16798/90, § 44-58; ტასკინი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ; ფადეევა რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ. საქმეზე ქურშიდ მუსტაფა და ტარზიბაჩი შვედეთის წინააღმდეგ, No 23883/06 სასამართლომ მიიჩნია, რომ ეროვნული სასამართლოს მიერ კერძო აქტის (კონტრაქტის) ინტერპრეტაცია იმგვარად განხორციელდა, რომ მოპასუხე სახელმწიფოს პასუხისმგებლობა გამოიკვეთა, რაც მე-10 მუხლით გათვალისწინებული გარანტიების გავრცელების სფეროს აფართოებს და დადგენილი შეზღუდვების კერძო პირებზეც გავრცელებას მოიაზრებს.
10. მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2007)16 წევრი სახელმწიფოებისათვის ინტერნეტის საჯარო მომსახურეობის ღირებულების გაზრდაზე მიმართული ღონისძიებების ხელშეწყობის თაობაზე

არამართლზომიერ, არასაჭირო და არათანაზომიერ ჩარევას მათ უფლებებსა და თავისუფლებებში.

21. პრეამბულის მეოთხე პარაგრაფში ჩამოყალიბებულია რეკომენდაციის მიზანი, კერძოდ: ინტერნეტ მომხმარებლების მიერ ონლაინ კონტექსტში მათი უფლებების უკეთ გაგებისა და ამ უფლებებითა და სამართლებრივი დაცვის საშუალებების ეფექტური სარგებლობის ხელშეწყობა. შესაბამისად, უაღრესად მნიშვნელოვანია ინტერნეტ მომხმარებელთა ინფორმირება მათი ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების ხელყოფის რისკებისა და ასეთ შემთხვევებში უფლებების აღდგენაზე მიმართული მექანიზმების თაობაზე. პრეამბულაში ასახული განაცხადი იმის თაობაზე, რომ ინტერნეტი საჯარო ხელისუფლების გამჭვირვალობისა და ანგარიშგების უზრუნველყოფის მნიშვნელოვან შესაძლებლობებს იძლევა, განმარტავს რეკომენდაციის ძირითადი არსის ერთ-ერთ ელემენტს, რაც პირებისა და საზოგადოებების დემოკრატიულ ცხოვრებაში მონაწილეობის ხელშეწყობას გულისხმობს.

რეკომენდაციის სარეზოლუციო ნაწილი

22. მე-5 პარაგრაფში ასახულია ევროპის საბჭოს ინტერნეტთან დაკავშირებული სტანდარტების ძირითადი პრინციპი, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ძირითადი უფლებები და თავისუფლებები როგორც ონლაინ, ასევე ოფლაინ გარემოზე ვრცელდება[11]. მოცემული მიდგომა მხარდაჭერილია გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა საბჭოს მიერ 2012 წელს მიღებულ რეკომენდაციაში „ინტერნეტ გარემოში ადამიანის უფლებათა მხარდაჭერა, დაცვა და რეალიზაცია“. სახელმძღვანელოში ასახული პრინციპების განხორციელების მხარდაჭერა ხელს შეუწყობს ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვას ადამიანის უფლებების სფეროში არსებული სტანდარტების შესაბამისად.

23. ქვეპარაგრაფში 5.1 ასახულია რეკომენდაცია წევრი სახელმწიფოებისათვის, რომ წინამდებარე სახელმძღვანელო მხარდაჭერილი უნდა იყოს არა მხოლოდ საჯარო ხელისუფლების, არამედ ასევე კერძო სექტორის მიერ. ეს გულისხმობს მის პუბლიკაციას და გავრცელებას ბეჭდურ, ან ელექტრონულ ფორმატში. ასევე შესაძლებელია, რომ მოცემული სახელმძღვანელო შესაბამისი საჯარო ორგანოების ვებგვერდზე გამოქვეყნდეს. ასევე, სასურველია, რომ კერძო სექტორმაც გაატაროს იგივე ზომები.

24. ქვეპარაგრაფში 5.2 კიდევ ერთხელაა ხაზგასმული ის გარემოება, რომ ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები ინტერნეტით სარგებლობისას შეიძლება გარკვეულ შეზღუდვებს დაექვემდებაროს, რაც განპირობებული უნდა იყოს კანონიერი მიზნით და აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში, როგორც ამას ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის შესაბამისი დებულებები მოითხოვს. ზემოთხსენებულ პირობებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, მინისტრთა კომიტეტი წევრ სახელმწიფოებს რეკომენდაციას აწვდის შეაფასონ, რეგულარულად შეისწავლონ, და საჭიროების შემთხვევაში გააუქმონ ინტერნეტით სარგებლობის კონტექსტში ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებთან დაკავშირებით დაწესებული შეზღუდვები.

---

11. იხილეთ მინისტრთა საბჭოს დეკლარაცია ინტერნეტ მმართველობის პრინციპების თაობაზე, პრინციპი 1: „ადამიანის უფლებები, დემოკრატია და კანონის უზენაესობა“.

25. ქვეპარაგრაფი 5.3 მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს გააძლიერონ ძალისხმევა სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალებების წვდომის უზრუნველყოფის მიზნით არსებულ ინსტიტუტებს და სტრუქტურებს (მათ შორის ელექტრონული კომუნიკაციების მარეგულირებელ ორგანოებთან), ასევე უფლებების აღდგენაზე მიმართულ მექანიზმებს შორის, მაგალითად, ინტერნეტ მომხმარებლების მიერ წარდგენილი საჩივრების განხილვაზე პასუხისმგებელ სტრუქტურებს შორის კოორდინაციისა და თანამშრომლობის გაზრდის გზით. რეკომენდაციაში ასევე აღნიშნულია, რომ სხვადასხვა წევრ სახელმწიფოებში უფლებების დაცვის განსხვავებული მექანიზმები არსებობს, მაგალითად, მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურები, ომბუდსმენი, სასამართლო პროცედურა, ან ცხელი ხაზი. წევრ სახელმწიფოებს ასევე შეუძლიათ ჩაატარონ მათ იურისდიქციაში არსებული უფლებების დაცვის მექანიზმების შესწავლა და მომხმარებლების ინფორმირებულობის ამაღლების მიზნით მოამზადონ და გამოაქვეყნონ ასეთი მექანიზმების ჩამონათვალი. ეს ინფორმაცია შეიძლება წინამდებარე სახელმძღვანელოსთან ერთად გავრცელდეს, მაგალითად, წინამდებარე დოკუმენტის დანართის სახით გამოქვეყნდეს. ეს ერთ-ერთი ღონისძიებაა, რომელიც რეკომენდაციის მიღების შემდეგ შეიძლება განხორციელდეს.

26. ინტერნეტი თავისი არსით მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მცხოვრები ადამიანებისგან ინფორმაციის მიწოდების თაობაზე თხოვნის მიღებისა და ინფორმაციის მიწოდების პრინციპით მუშაობს, და შესაბამისად, არ სცნობს საზღვრებს. ეს თავის მხრივ ნიშნავს, რომ ინტერნეტ სივრცეში ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები შეიძლება ევროპის საბჭოს ფარგლებს გარეთ არსებული სახელმწიფო, ან არა-სახელმწიფო სტრუქტურების მიერ განხორციელებული მოქმედებების შედეგად შეიზღუდოს. მაგალითად, შეიძლება ჩარევა მოხდეს ისეთ უფლებებში, როგორიცაა გამოხატვის თავისუფლება და ინფორმაციის მისაწვდომობა, ან დაირღვეს პერსონალური ინფორმაციის კონფიდენციალურობის უფლება. ზემოთხსენებულის გათვალისწინებით, ქვეპარაგრაფში 5.4 ასახულია რეკომენდაცია ევროპის საბჭოს წევრ და არა-წევრ სახელმწიფოებსა და არა-სახელმწიფო სექტორთან კოორდინაციის გაუმჯობესების მიზანშეწონილობა.

27. ქვეპარაგრაფში 5.5 ასახულია რეკომენდაცია წევრი სახელმწიფოებისათვის, რომლის შესაბამისადაც მათ ხელი უნდა შეუწყონ ეფექტურ დიალოგს კერძო სექტორს, შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებსა და სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის კერძო სექტორის სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით. ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ სახელმძღვანელო პრინციპების[12] უმთავრესი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ ბიზნეს კომპანიებმა

12. სახელმძღვანელო პრინციპები ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ: გაერთიანებული ერების „დაცვის, პატივისცემისა და სამართლებრივი დაცვის საშიუალებების“ ჩარჩოს განხორციელება (A/HRC/17/31), რომელიც დამტკიცებულია ადამიანის უფლებათა დაცვის საჭოს რეზოლუციით „ადამიანის უფლებებსა და ტრანსნაციონალურ კორპორაციებსა და სხვა ბიზნეს კომპანიების შესახებ“ A/HRC/RES/17/4. სახელმძღვანელო პრინიციპების შესაბამისად, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ კანონმდებლობის მიღება, რომელიც მოითხოვს, და ხელს შეუწყობს ბიზნეს სექტორის მიერ ადამიანის უფლებების პატივისცემას და სახელმწიფოებმა პერიოდულად უნდა შეაფასონ ასეთი კანონმდებლობის ეფექტურობა და გამოასწორონ არსებული ხარვეზები; გარდა ამისა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ სხვა კანონმდებლობა და პოლიტიკა, რომელიც საწარმოების დაარსებას და ოპერირებას არეგულირებს, მაგალითად კორპორატიული კანონმდებლობა, კი არ ზღუდავს, არამედ ხელს უწყობს ადამიანის უფლებების დაცვას; სახელმწიფო სტრუქტურებმა ეფექტური ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ ბიზნესებს მათი ოპერირების პროცესში ადამიანის უფლებების დაცვის ხელშესაწყობად და უზრუნველყონ, და საჭიროების შემთხვევაში მოსთხოვონ ბიზნესებს წარადგინონ ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ როგორ ხდება მათ კომპანიებში ადამიანის უფლებების დარღვევის შემთხვევების აღმოფხვრა და გამოსწორება.

პატივი უნდა სცენ ადამიანის უფლებებს, რაც გულისხმობს, რომ მათ თავი უნდა შეიკავონ ადამიანის უფლებების დარღვევისაგან და რეაგირება მოახდინონ იმ უარყოფითი შედეგების აღმოფხვრის მიზნით, რაც მათ კომპანიაში ადამიანის უფლებების დარღვევის შემთხვევებით შეიძლება იყოს გამოწვეული. ხაზგასმულია, რომ კერძო სექტორის წარმომადგენლების გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება მნიშვნელოვანი საშუალებაა იმის სადემონსტრაციოდ, რომ კერძო სექტორი პასუხისმგებლობას იღებს ამ მიმართებით და აქტიურად უჭერს მხარს შესაბამისი ინფორმაციის გავრცელებას. მაგალითად, ინტერნეტ მომსახურების მიმწოდებლებმა და კონტენტის წვდომაზე პასუხისმგებელმა მხარეებმა მათი სერვისებით სარგებლობის პირობებსა და მოთხოვნებში უნდა ასახონ რეფერენცია მოცემულ სახელმძღვანელოზე.

28. ქვეპარაგრაფში 5.6 ხაზგასმულია სამოქალაქო სექტორის წვლილი მოცემული სახელმძღვანელოს გავრცელებასა და მასში ასახულ პრინციპებთან შესაბამისობის უზრუნველყოფაში. შესაბამისად, წევრ სახელმწიფოებს რეკომენდაცია ეძლევათ ხელი შეუწყონ სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგნიზაციებისა და აქტივისტების მონაწილეობას სახელმძღვანელოს გავრცელებასა და მასში ასახული რეკომენდაციების განხორციელებაში და ადამიანის უფლებების სტანდარტების დაცვასა და ადვოკატირებაში სახელმძღვანელოში ასახული პრინციპების შესაბამისად.

სახელმძღვანელო ინტერნეტ მომხმარებლების ადამიანის უფლებების შესახებ

დანართი რეკომენდაციისადმი CM/Rec(2014)6

29. წინამდებარე სახელმძღვანელო ინტერნეტ მომხარებლებისთვისაა განკუთვნილი. იგი არის ინსტრუმენტი ინტერნეტ მომხმარებლისთვის, ანუ ნებისმიერი პირისთვის, რომელსაც არ გააჩნია სპეციალიზირებული ცოდნა ინტერნეტის თაობაზე, რომელიც შესაბამისი განათლების ან ტრენინგის გზით მიიღება. კერძოდ, სახელმძღვანელოში ყურადღება გამახვილებულია ინტერნეტ მომხმარებლის უნარზე ეფექტურად მართოს თავისი საქმიანობა ინტერნეტში (მაგ. იდენტობა, პერსონალური მონაცემები და სხვა). ინტერნეტ მომხმარებელი სრულად უნდა იყოს ინფორმირებული სხვადასხვა არჩევანის და შესაძლებლობების თაობაზე, რომელიც მას ინტერნეტით სარგებლობისას გააჩნია, და ასევე იმის თაობაზე, თუ რა გავლენა შეიძლება იქონიოს მისმა თანხმობამ გარკვეულ ინტერნეტ-შემოთავაზებებზე და მის უფლებებსა და თავისუფლებებზე. ინტერნეტ მომხმარებლებს უნდა ესმოდეთ, თუ რა შეზღუდვები შეიძლება არსებობდეს ინტერნეტ სივრცეში მათ უფლებებსა და თავისუფლებებთან დაკავშირებით, და ასევე იმის თაობაზე, თუ მათი უფლებების დარღვევის შემთხვევაში ამ უფლებების დაცვის და აღდგენის რა მექანიზმები არის მათთვის მისაწვდომი.

30. წინამდებარე სახელმძღვანელო ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს იურისპრუდენციაზე დაყრდნობით არის მომზადებული. იგი ასევე ევროპის საბჭოს სხვა სავალდებულო ხასიათის ინტსრუმენტებსა და მინისტრთა კომიტეტის შესაბამის დეკალარაციებსა და რეკომენდაციებს ეყრდნობა. წინამდებარე სახელმძღვანელო არ მოდის წინააღდეგობაში არსებული ადამიანის უფლებების სტანდარტებთან, რომლებზე დაყრდნობითაც იგი შემუშავდა. სახელმძღვანელოში ასახული უფლებები და თავისუფლებები აღსრულებას ექვემდებარება იმ სამართლებრივი ინსტრუმენტების შესაბამისად, რომელთა საფუძველზეც ეს უფლებები და თავისუფლებებია დადგენილი. წინამდებარე სახელმძღვანელო რეფერენციას აკეთებს ადამიანის უფლებების სფეროს არსებულ სტანდარტებსა და მათი აღსრულების მექანიზმებზე და არ ადგენს ახალ უფლებებსა და თავისუფლებებს. წინამდებარე სახელმძღვანელო არ შეიცავს ადამიანის უფლებების სტანდარტების ამომწურავ, ან სავალდებულო განმარტებას. მიზანშეწონილია დამატებითი განმარტებების მიწოდება ინტერნეტ მომხმარებლებისთვის მათი ადამიანის უფლებების შესაძლო დარღვევებისა და

შეზღუდვების თაობაზე და აგრეთვე იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაიცვან თავი მომხმარებლებმა ინტერნეტით ამ უფლებების დარღვევისა და ძალადობისგან, რათა მათ უკეთ გაიგონ საკუთარი უფლებები და დაიცვან როგორც საკუთარი თავი, ასევე სხვები მსგავსი დარღვევებისგან. აღსანიშნავია, რომ მოცემული სახელმძღვანელო შემდგომში გადასინჯვას დაექვემდებარება ევროპის საბჭოს სტანდარტებსა და სასამართლოს პრეცედენტული სამართლის განვითარების და დახვეწის კვალდაკვალ.

წვდომა და დისკრიმინაციის დაუშვებლობა

31. სახელმძღვანელო ყურადღებას ამახვილებს იმ პრინციპებზე და მოსაზრებებზე, რომლებიც ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებთანაა დაკავშირებული, მათ შორის ინტერნეტის წვდომისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობაზე.

32. მიუხედავად იმისა, რომ ინტერნეტზე წვდომა ჯერ არ არის ოფიციალურად აღიარებული როგორც ადამიანის უფლება (სხვადასხვა ქვეყნებში არსებული ეროვნული კონტექსტისა და კანონმდებლობისა და პოლიტიკის თვალსაზრისით არსებული განსხვავებების გათვალისწინებით), იგი გამოხატვის თავისუფლებისა სხვა უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზაციის ინსტრუმენტად და ხელშემწყობ ფაქტორად მოიაზრება.[13] შესაბამისად, ინტერნეტ მომხმარებლის დაშვების შეზღუდვამ შეიძლება უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს მის მიერ თავისი უფლებებითა და თავისუფლოებებით სარგებლობაზე და შეიძლება გამოხატვის თავისუფლებისა და ინფორმაციის მიღების უფლების შეზღუდვის ტოლფასი იყოს. სასამართლომ აღნიშნა, რომ დღევანდელ პირობებში ინტერნეტი გამოხატვის თავისუფლებითა და ინფორმაციის მიღების უფლებით სარგებლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საშუალებაა. გამოხატვის თავისუფლების უფლება ვრცელდება არა მხოლოდ ინფორმაციის შინაარსობრივ მხარეზე, არამედ ასევე ინფორმაციის გავრცელების საშუალებებზე, რადგანაც ამ უკანასკნელზე დაწესებული ნებისმიერი შეზღუდვა აუცილებლად იწვევს ინფორმაციის მიღებისა და გაზიარების უფლებაში ჩარევას. სასამართლოს ინტერპრეტაციის შესაბამისად, ასეთი ჩარევა მხოლოდ იმ შემთხვევაშია მისაღები, თუ იგი აკმაყოფილებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პარაგრაფში ასახულ პირობებს.[14] ღონისძიება, რომელიც ზეგავლენას ახდენს პირის ინტერნეტზე წვდომას, მე-10 მუხლის შესაბამისად დაკავშირებულია სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხთან.[15]

---

13. გაერთიანებული ერების სპეციალურმა მომხსენებელმა გამოხატვისა და აზრის თავისუფლების საკითხებზე ფრენკ ლა რუმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ინტერნეტი მთელი რიგი ადამიანის უფლებების რეალიზაციის, უთანასწორობასთან ბრძოლის, ადამიანური განვითარებისა და კაცობრიობის პროგრესის დაჩქარების ხელშეწყობის უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია, და შესაბამისად, ინტერნეტზე წვდომის უზრუნველყოფას ყველა სახელმწიფოს მიერ პრიორიტეტულობა უნდა მიენიჭოს. შესაბამისად, სახელმწიფოებმა უნდა შეიმუშაონ კონკრეტული და ეფექტური პოლიტიკა საზოგადოების ყველა ფენების, მათ შორის კერძო სექტორისა და შესაბამისი სამინისტროების წარმომადგენლებთან მჭიდრო კონსულტაციების გზით, რათა უზრუნველყოფილი იყოს მოქალაქეების ყველა სეგმენტისთვის ინტერნეტზე ფართო წვდომა და ხელმისაწვდომობა“. „ინტერნეტი მოქმედებს რა ადამიანების გამოხატვისა და აზრის თავისუფლების კატალიზატორის სახით, იგი იმავდროულად ხელს უწყობს მთელი რიგი სხვა ადამიანის უფლებების რეალიზაციას“. http://www2.ohchr.org/english/bodies/hrcouncil/docs/17session/a.hrc.17.27_en.pdf

14. იხილეთ ზემოთ მე-2 სქოლიო, § 50. ასევე იხილეთ Autronic AG შვეიცარიის წინააღმდეგ, (No. 12726/87). საქმეზე ქურშიდ მუსტაფა და ტარზიბაჩი შვედეთის წინააღმდეგ, სასამართლომ მიიჩნია, რომ ეროვნული სასამართლოს მიერ კერძო აქტის (კონტრაქტის) ინტერპრეტაცია იმგვარად განხორციელდა, რომ მოპასუხე სახელმწიფოს პასუხისმგებლობა გამოიკვეთა, რაც მე-10 მუხლით გათვალისწინებული გარანტიების გავრცელების სფეროს აფართოებს და დადგენილი შეზღუდვების კერძო პირებზეც გავრცელებას მოიაზრებს.

15. იხილეთ ზემოთ მე-2 სქოლიო, § 53.

33. ყოველივე ზემოთხსენებულის გათვალისწინებით, სახელმძღვანელოში ხაზგასმულია, რომ ინტერნეტ მომხმარებლები არ უნდა იყონ ინტერნეტიდან გამოერთებული მათი ნების წინააღმდეგ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს სასამართლოს განჩინებით იქნება დადგენილი. იმავდროულად აღსანიშნავია, რომ ეს არ უნდა იყოს მოაზრებული როგორც პრევენციული კანონიერი გამოთიშვა, რომელიც განპირობებულია კონტრაქტის პირობებით დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობით. ინტერნეტ მომხმარებლებს, რომლებიც არ იხდიან მომსახურების საფასურს, შეიძლება ინტერნეტი გაეთიშოთ. იმავდროულად გასათვალისწინებელია, რომ მოცემული ზომა უკიდურესი ღონისძიების სახით უნდა მოიაზრებოდეს. გარდა ამისა უნდა აღინიშნოს, რომ ბავშვების ინტერნეტზე წვდომა შეიძლება შეიზღუდოს მშობლების მიერ, ბავშვის ინტერნეტით სარგებლობაზე კონტროლის მიზნით, ბავშვის ასაკისა და სიმწიფის დონის გათვალისწინებით.

34. ინტერნეტის გათიშვის შემთხვევაში ინერნეტ მომხმარებლებისთვის საკუთარი უფლებების დაცვის ეფექტური საშუალებები უნდა იყოს მისაწვდომი იმ შემთხვევებში, როდესაც ინტერნეტზე წვდომის შეზღუდვა არ ხდება სასამართლოს გადაწყვეტილებით. ეს გულისხმობს ინტერნეტ მომსახურების მიმწოდებლების ვალდებულებას შეატყობინონ მომხმარებლებს ინტერნეტის გათიშვის მიზეზებისა და სამართლებრივი საფუძვლების, ასევე ამ ზომის გასაჩივრებისა და ინტერნეტზე სრული წვდომის აღდგენის თაობაზე თხოვნით მიმართვის პროცედურის შესახებ. ასეთი თხოვნა გონივრულ ვადაში უნდა იყოს განხილული. გარდა ამისა, ყველა ინტერნეტ მომხმარებელს, სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებით სარგებლობის მოთხოვნის გათვალისწინებით, საშუალება უნდა ჰქონდეს მოითხოვოს ინტერნეტის გათიშვის ღონისძიების გამოყენების საკითხის შესწავლა შესაბამისი ადმინისტრაციული ან სასამართლო ორგანოს მიერ. მოცემულ პროცესთან დაკავშირებული ასპექტები შეჯამებულია სახელმძღვანელოს ბოლო თავში, სახელწოდებით „სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალებები“.

35. ინტერნეტზე წვდომის საკითხის კიდევ ერთი ასპექტი შეეხება საჯარო ხელისუფლების მიერ ინტერნეტის საყოველთაო წვდომის უზრუნველყოფის მიზნით გატარებულ პოზიტიურ ღონისძიებებს. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ წევრი სახელმწიფოებისათვის შემუშავებული რეკომენდაციის თანახმად, მათ ხელი უნდა შეუწყონ ინტერნეტის, როგორც საჯარო სერვისის ღირებულების გაზრდას.[16] ეს გულისხმობს, „რომ იმის გათვალისწინებით, რომ ინტერნეტი ადამიანების ყოველდღიური საქმიანობის (კომუნიკაცია, ინფორმაცია, ცოდნა, კომერციული ტრანსაქციები) უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია, ადამიანებს ლეგიტიმური მოლოდინი აქვთ, რომ ინტერნეტ მომსახურება ფიზიკურად და ფინანსურად ხელმისაწვდომი, სანდო და უწყვეტი უნდა იყოს“. მოცემული ნაწილი ინფორმაციას აწვდის მომხმარებლებს იმის თაობაზე, რომ მათ უფლება აქვთ გააჩნდეთ წვდომა ინტერნეტზე ხელმისაწვდომ ფასებში და ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.

36. ინტერნეტ კონტენტის წვდომის უფლება დაკავშირებულია ინტერნეტით ინფორმაციის მიღებასა და გაზიარებასთან დაკავშირებულ უფლებასთან, რაც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლშია ასახული.[17] ევროპის საბჭოს

16. იხილეთ ზემოთ სქოლიო 9, CM/Rec(2007)16, II ნაწილი.
17. იხილეთ ზემოთ სქოლიო 2, § 50.

მინისტრთა კომიტეტმა ხაზი გაუსვა, რომ ყველა ინტერნეტ მომხმარებლებს საკუთარი არჩევანის მიხედვით ტექნიკური მოწყობილობების გამოყენებით მაქსიმალური წვდომა უნდა გააჩნდეთ საკუთარი შეხედულებისამებრ შერჩეული ინტერნეტზე დაფუძნებული კონტენტის, აპლიკაციებისა და სერვისებისადმი, დამოუკიდებლად იმისა, მათი შეთავაზება უფასოდ ხდება, თუ არა. ეს არის ზოგადი პრინციპი, რომელიც ცნობილია „ქსელის ნეიტრალურობის“ სახელით, და რომელიც ვრცელდება იმისდა მიუხედავად, თუ რა ქსელი, ან ინფრასტქრუქტურა გამოიყენება ინტერნეტში ჩართვისათვის.[18]

37. საჯარო ხელისუფლებამ გონივრული ძალისხმევა უნდა გამოიჩინოს გარკვეული კატეგორიის პირებისთვის, მაგალითად გეოგრაფიულად მოშორებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ, ან უნარშეზღუდული პირებისთვის ინტერნეტზე წვდომის უზრუნველყოფის მიზნით. მოცემული მოთხოვნა ეყრდნობა საჯარო სერვისის საყოველთაო წვდომის პრინციპს, რაც მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციაში No. R(99)14 ასახული, რომელიც ახალ საკომუნიკაციო და საინფორმაციო სერვისებს შეეხება.[19] რეკომენდაციაში ხაზგასმულია, რომ საჯარო ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს თქვენთვის ინტერნეტის წვდომა თუ თქვენ რაიონში, ან გეოგრაფიულად მოშორებულ ტერიტორიებზე ცხოვრობთ, დაბალი შემოსავალი გაქვთ, და/ან სპეციალური საჭიროებები ან შეზღუდული შესაძლებლობა გაქვთ.

38. უნარშეზღუდული პირების მოლოდინი, რომ მათ სხვა ინტერნეტ მომხმარებლების მსგავსად ინტერნეტის ექვივალენტური სერვისების არადისკრიმინაციული წვდომა უნდა გააჩნდეთ, ეფუძნება ევროპის საბჭოს შესაბამის ინსტრუმენტებს, რომლებიც რეკომენდაციას აძლევენ წევრ სახელმწიფოებს შესაბამისი ზომები გაატარონ უნარშეზღუდული ინტერნეტ მომხმარებლების შესაბამისი საშუალებებით აღსაჭურვად, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათთვის ინტერნეტისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ვდომა.[20] წევრმა სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ ინტერნეტის ხელმისაწვდომობას იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ამ პირებისა და ჯგუფების ინფორმირებულობის ამაღლება და შესაბამისი დიზაინის, ინტერნეტ წვდომისა და სერვისების შეთავაზება და მათი ადაპტირებისა და თავსებადობის უზრუნველყოფა.[21]

39. არა-დისკრიმინაციული მიდგომის პრინციპი უნდა ვრცელდებოდეს მომხმარებელთა კომუნიკაციაზე საჯარო ხელისუფლებასთან, ინტერნეტ სერვისების პროვაიდერებთან, კონტენტზე წვდომის პროვაიდერებთან, კომპანიებთან, მომხმარებლებთან, ან მომხმარებელთა ჯგუფებთან. მეოთხე პარაგრაფში მოცემულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლისა და იმავე კონვენციის მე-12 ოქმის 1-ლი მუხლის პერიფრაზი.

---

18. მინისტრთა კომიტეტის დეკლარაცია ქსელის ნეიტრალურობის თაობაზე, მიღებული მინისტრთა კომიტეტის მიერ 2010 წლის 29 სექტემბერს. ასევე, იხილეთ 2002 წლის 7 მარტს მიღებული ევროპარლამენტის და ევროპის საბჭოს დირექტივა 2002/21/EC ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებისა და სერვისების საერთო მარეგულირებელი ჩარჩოს შესახებ, მუხლი 8(4) გ.
19. იხილეთ ზემოთ სქოლიო 9, CM/Rec(2007)16, დანართის II ნაწილი; მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია No.R (99)14 წევრი სახელმწიფოებისათვის საჯარო სერვისების, კერძოდ კი ახალი საკომუნიკაციო და საინფორმაციო სერვისების საყოველთაო მისაწვდომობის თაობაზე, პრინციპი 1. s
20. იქვე.
21. იხილეთ ზემოთ სქოლიო, CM/Rec(2007)16, დანართის II ნაწილი;

გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლება

40. მოცემული ნაწილი შეეხება გამოხატვის თავისუფლებას, რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლითაა გარანტირებული. სასამართლომ თავის იურისპრუდენციით დაადასტურა, რომ მე-10 მუხლის მოთხოვნები სრულად ვრცელდება ინტერნეტზე.[22] გამოხატვის თავისუფლება გულისხმობს მოსაზრებების, შეხედულებების და იდეების გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლად გავრცელების უფლებას საზღვრების მიუხედავად. ინტერნეტ მომხმარებლებს უნდა შეეძლოთ ინტერნეტით საკუთარი პოლიტიკური შეხედულებებისა და რელიგიური და არა-რელიგიური მრწამსის თავისუფლად გამოხატვა. ეს უკანასკნელი დაკავშირებულია კონვენციის მე-9 მუხლით გამყარებულ აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებასთან. გამოხატვის თავისუფლება ვრცელდება არა მხოლოდ ისეთ „ინფორმაციასა“ და „იდეებზე“, რომლებიც შეიძლება პოზიტიურად იყოს მიღებული, ან არ იყოს შეურაცხმყოფელი, არამედ აგრეთვე ისეთ ინფორმაციასა და მოსაზრებებზე, რომლებიც შეიძლება შეურაცხმყოფელი, შოკისმომგვრელი ან შემაშფოთებელი იყოს.[23]

41. ინტერნეტ მომხმარებლების მიერ გამოხატვის თავისუფლების უფლებით სარგებლობა დაბალანსებული უნდა იყოს რეპუტაციის დაცვის უფლებასთან. სასამართლომ მთელ რიგ საქმეებთან მიმართებაში დაადგინა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით დაცული მოცემული უფლება გულისხმობს ადამიანის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებას.[24] სასამართლოს მიაჩნია, რომ კონვენციის მე-8 და მე-10 მუხლებით გარანტირებული უფლებები თანაბარ პატივისცემას იმსახურებენ. სასამართლოს აზრით, იმ შემთხვევებში, როდესაც გამოხატვის თავისუფლება დაბალანსებული უნდა იყოს პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებასთან, ასეთი ბალანსის დაცვის შეფასების კრიტერიუმები შემდეგ ელემენტებს შეიცავენ: წვლილის შეტანა ისეთი თემების გარშემო დისკუსიებში, რომლებიც საზოგადოების ინტერესს იწვევს, რამდენად ცნობილია პირი, პუბლიკაციის თემა, პირის ზოგადი ქცევა წინა პერიოდში, ინფორმაციის მიღების მეთოდი და ინფორმაციის უტყუარობა, შინაარსი, ფორმა და ამ ინფორმაციის გასაჯაროების შედეგები, დაკისრებული სანქციების სიმძიმე.[25] ამის გათვალისწინებით, სახელმძღვანელოში ხაზგასმულია, რომ ინტერნეტ მომხმარებლებმა სათანადოდ უნდა სცენ პატივი სხვა პირების რეპუტაციასა და პირადი ცხოვრების უფლებას.

42. არსებობს აზრის გამოხატვის სახე, რომელზეც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებული დაცვა არ ვრცელდება - ეს არის სიძულვილის ენით აზრის გამოხატვა. სასამართლომ დაადგინა, რომ გამოხატვის გარკვეულ ფორმებზე, რომლებიც სიძულვილის გამოხატვის ტოლფასია, ან რომლებიც თავისი არსით ეწინააღმდეგება და უარყოფს კონვენციის ღირებულებებს, კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებული გარანტიები არ

22. იხილეთ ზემოთ სქოლიო, §50.
23. ჰანდისაიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, 1976 წლის 7 დეკემბრის განჩინება, სერია A No. 24, პარაგრაფი 49.
24. ჩაუვი და სხვები, No. 64915/01 § 70; პფეიფერი ავსტრიის წინააღმდეგ, no. 12556/03, § 35; და პოლანკო ტორესი და მოვილა პოლანკო ესპანეთის წინააღმდეგ, no. 34147/06, § 40.
25. დელფი ესტონეთის წინააღმდეგ, No. 64569/09, § 78-81 (მოცემული საქმე სასამართლოს დიდ პალატას გადაეცა განსახილველად); Axel Springer AG გერმანიის წინააღმდეგ, No.39954/08 § 89-95, და ვონ ჰანოვერი გერმანიის წინააღმდეგ, (no. 2), Nos. 40660/08 and 60641/08 §§ 108-113.

გავრცელდება.[26] ასეთ შემთხვევებთან მიმართებაში სასამართლო კონვენციის მე-17 მუხლს აამოქმედებს. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს სიძულვილის ენის საყოველთაოდ აღიარებული დეფინიცია, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა განაცხადა, რომ „სიძულვილის ენაში მოიაზრება გამოხატვის ყველა ფორმა, რომელიც ავრცელებს, აქეზებს, ხელს უწყობს ან ამართლებს რასობრივ შუღლს, ქსენოფობიას, ანტისემიტიზმს ან შეუწყნარებლობაზე დაფუძნებულ შუღლის სხვა ფორმებს, ნაციონალიზმის, ეთნოცენტრიზმის, დისკრიმინაციისა და უმცირესობათა ან მიგრანტთა მიმართ გამოხატული მტრობის ჩათვლით."[27] გამოხატვის თავისუფლების ნაწილის მე-2 პარაგრაფში მოცემულია ინტერნეტ მომხმარებლისთვის გასაგები, მარტივი და ზუსტი ენით გადმოცემული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ კონვენციის მე-10 მუხლი არ ვრცელდება სიძულვილის ენაზე. მოცემული პარაგრაფი არ ისახავს მიზნად სამართლებრივი ტერმინების გამოყენებით იმის განმარტებას, თუ როგორ შეიძლება გავრცელდეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 და მე-17 მუხლების მოთხოვნები სხვადასხვანაირად სიძულვილის გამოხატვის სხვადასხვა შემთხვევებზე. ასეთი განსხვავებების სამართლებრივი ხასიათის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, რომ მოცემულ საკითხთან დაკავშირებული ინფორმაცია განმარტებით მემორანდუმში უნდა იყოს ასახული.

43. ინტერნეტ მომხმარებლებს უფლება აქვთ მიიღონ და გაავრცელონ ინ-ფორმაცია, კერძოდ კი, შექმნან, გამოიყენონ და გაავრცელონ კონტენტი ინტე-რნეტის მეშვეობით. სასამართლომ შეისწავლა ურთიერთდამოკიდებულება ინტელექტუალური საკუთრების დაცვისა და გამოხატვის თავისუფლებას შორის საავტორო უფლებების დარღვევასთან დაკავშირებული სისხლის სამართლის წესით მსჯავრდების შემთხვევებთან მიმართებაში. სასამართლომ ასეთი მსჯავ-რდება გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევად მიიჩნია, რაც შეიძლება მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში იყოს გამართლებული, ემსახურებოდეს ლეგიტიმურ მიზანს დაიცვას სხვების უფლებები, და აუცილებელი იყოს დემო-კრატიულ საზოგადოებაში[28]. ფაილების გავრცელებასა და სხვებისთვის ფაილების გაზიარების, მათ შორის საავტორო უფლებებით დაცული მასალების გავრცელების უფლების მიცემაზე კომერციულ მიზნებში, ვრცელდება კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების უფლება.[29] ეს უფლება არ არის აბსოლუტური უფლება და შესაბამისად, შეჯერებული უნდა იყოს ერთის მხრივ ინფორმაციის გაზიარებასთან დაკავშირებული ინტერესი, ხოლო მეორეს მხრივ, საავტორო უფლებების მფლობელების უფლებების დაცვის ინტერესი. სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ ინტელექტუალურ საკუთრებაზე ადამიანის უფ-ლებათა ევროპული კონვენციის ოქმის პირველი მუხლი ვრცელდება. ამგვარად, აქ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით დაცული ორი საპირისპირო ინტე-რესის დაბალანსების საკითხი დგება.

26. ფერეტი ბელგიის წინააღმდეგ, no. 15615/07; გარაუდი საფრანგეთის წინააღმდეგ, no.65831/01, 24.06.2003, დასაშვებობის თაობაზე გადაწყვეტილება; ლერროი საფრანგეთის წინააღმდეგ, no.36109/03; ჯერსილდი დანიის წინააღმდეგ, no. 15890/89; ვეჯდლენდი და სხვები შვედეთის წინააღმდეგ, no.1813/07.
27. მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია No. R (97) 20 წევრი სახელმწიფოებისათვის „სიძულვილის ენის შესახებ"
28. ნეიჯი და სუნდე კოლმისოპი შვედეთის წინააღმდეგ, no.40397/12. ასევე იხილეთ დონალდი და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ, no, 36769/08 § 34.
29. იქვე.

44. მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია წევრი სახელმწიფოებისათვის ხელი შეუწყონ ინტერნეტის, როგორც საჯარო სერვისის ღირებულების გაზრდას, მოიაზრებს შესაბამისი სახელმძღვანელო დირექტივების შემუშავებას იმ ღონისძიებებისა და სტრატეგიების თაობაზე, რომლებიც საზღვრების მიუხედავად ინტერნეტით კომუნიკაციის და კონტენტის შექმნის თავისუფლებას შეუწყობს ხელს. კერძოდ, ასეთი ღონისძიებები ხელს უნდა უწყობდნენ ინტერნეტ კონტენტის შექმნას და „განმეორებით გამოყენებას", რაც ნიშნავს არსებული ციფრული კონტენტის რესურსების გამოყენებას მომავალი კონტენტის, ან სერვისების შესაქმნელად ისეთი გზით, რაც ინტელექტუალური საკუთრების პატივისცემასთან დაკავშირებულ მოთხოვნებთან იქნება შესაბამისობაში.[30]

45. მე-4 პარაგრაფში ასახულია გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებული მოთხოვნებისა და შეზღუდვების ზოგადი მიმოხილვა. კონვენციის მე-10 მუხლის შესაბამისად წევრი სახელმწიფოების ძირითადი ვალდებულებაა არ ჩაერიოს პირებს შორის ინფორმაციის გაცვლაში, დამოუკიდებლად იმისა, ეს კერძო, თუ იურიდიული პირი იქნება. სასამართლომ არაერთგზის დაადგინა, რომ გამოხატვის თავისუფლების უფლებით ეფექტური სარგებლობა შეიძლება მოიაზრებდეს ამ უფლების დაცვაზე მიმართულ პოზიტიურ ღონისძიებებს მაშინაც კი, თუ ეს კერძო პირებს შორის ურთიერთობებს გულისხმობს. სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხი შეიძლება დადგეს იმ შემთხვევებში, თუ მან არ მიიღო შესაბამისი კანონი ეროვნულ დონეზე.[31] ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მოთხოვნების დარღვევად შეიძლება იყოს მიჩნეული ეროვნული სასამართლოს მიერ საკანონმდებლო აქტის, კერძო კონტრაქტის, საჯარო დოკუმენტის, კანონის ნორმის ან ადმინისტრაციული პრაქტიკის ისეთი ინტერპრეტაცია, რომელიც მიკერძოებული, დისკრიმინაციული, ან შეუსაბამოა კონვენციის ფუნდამენტალურ პირნციპებთან.[32]

46. გამოხატვის თავისუფლება არ არის აბსოლუტური უფლება და იგი შეიძლება გარკვეულ შეზღუდვებს დაექვემდებაროს. გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევად მოიაზრება მოცემული უფლების ნებისმიერი ფორმით შეზღუდვა ნებისმიერი სახელისუფლებო ორგანოს მიერ, რომელიც საჯარო უფლებამოსილებას ან ფუნქციებს ასრულებს, ან საჯარო სამსახურის ფუნქცია გააჩნია, მაგალითად, სასამართლოები, პროკურატურა, პოლიცია, ნებისმიერი სამართალდამცავი ორგანო, სადაზვერვო სამსახურები, ცენტრალური ან ადგილობრივი საბჭოები, სახელმწიფო დეპარტამენტები, ჯარის ხელმძღვანელი ორგანოები, ან პროფესიონალური სახელმწიფო სტრუქტურები.

47. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პარაგრაფის შესაბამისად, უფლებაში ნებისმიერი ჩარევა კანონით უნდა იყოს გათვალისწინებული. ეს ნიშნავს, რომ კანონი უნდა იყოს მისაწვდომი, ნათელი და საკმარისად ზუსტი იმისთვის, რომ ადამიანებს შეეძლოთ საკუთარი ქცევის რეგულირება. კანონი საკმარის დამცავ მექანიზმებს უნდა შეიცავდეს, რათა თავიდან იყოს აცილებული შემზღუდველი ზომების ბოროტად გამოყენება, რაც სხვა ზო-

30. იხილეთ ზემოთ სქოლიო 9, CM/Rec(2007)16, დანართი, III ნაწილი, მეორე აბზაცი.
31. Vgt Verein gegen Tierfabriken შვეიცარიის წინააღმდეგ, no. 24699/94, § 45.
32. ასევე იხილეთ ქურშიდ მუსტაფა და ტარზიბაჩი შვედეთის წინააღმდეგ, no 23883/06 § 33; პლაანდ პუნცემაუ ანდორის წინააღმდეგ, no.69498/01, § 59, ECHR 2004-VIII.

მებთან ერთად, ასევე სასამართლო, ან სხვა დამოუკიდებელი საარბიტრაჟო ორგანოს მიერ ეფექტურ კონტროლს გულისხმობს.[33] უფლებაში ჩარევა კანონიერ მიზანს უნდა ემსახურებოდეს ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, უწესრიგობისა თუ დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობის ან მორალის დაცვის მიზნით, სხვათა რეპუტაციის ან უფლებების დასაცავად, საიდუმლოდ მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად. აღსანიშნავია, რომ ზემოთმოყვანილი ჩამონათვალი ამომწურავია, მაგრამ მისი ინტერპრეტაცია და გავრცელების სფერო ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართლთან ერთად ვითარდება და იხვეწება. უფლებაში ჩარევა აუცილებელი უნდა იყოს დემოკრატიულ საზოგადოებაში, რაც გულისხმობს, რომ დასაბუთებული უნდა იყოს გადაუდებელი სოციალური საჭიროების არსებობა, აგრეთვე ის, რომ ჩარევა კანონიერ მიზანს ემსახურებოდა, და რომ მოცემული ღონისძიება ამ მიზნის მისაღწევად ყველაზე ნაკლებად შემზღუდველი საშუალება იყო.[34] ზემოთხსენებული მოთხოვნები შეჯამებული სახითაა წარმოდგენილი მომხმარებლებისთვის გასაგებ ენაზე, ანუ განმარტებულია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის შესაბამისად, გამოხატვის თავისუფლების ნებისმიერი შეზღუდვა არ უნდა იყოს მიკერძოებული და კანონიერ მიზანს უნდა ემსახურებოდეს, რაც სხვა მიზნებთან ერთად, ასევე მოიაზრებს ეროვნული უშიშროებისა ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვას, ჯანმრთელობის ან მორალის დაცვას, სხვათა რეპუტაციის ან უფლებების დაცვას, და შესაბამისობაში უნდა იყოს ადამიანის უფლებების სფეროს სამართლის მოთხოვნებთან.

48. უფრო დეტალური ინფორმაცია იმ გარანტიების თაობაზე, რომლებიც ინტერნეტ მომხმარებლებზე უნდა გავრცელდეს, როდესაც ონლაინ რეჟიმში გამოხატვის თავისუფლებაზე შეზღუდვებია დაწესებული, ასახულია განმარტებითი მემორანდუმის მომდევნო პარაგრაფებში. დაბლოკვა და გაფილტვრა ისეთი შეზღუდვების დაწესების მაგალითებია, რომლებიც შეიძლება გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ტოლფასი იყოს. დაბლოკვასა და გაფილტვრასთან დაკავშირებით რამოდენიმე ზოგადი პრინციპი ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე, ან მინისტრთა კომიტეტის შესაბამის სტანდარტებზე დაყრდნობითაა შემუშავებული.[35]

49. საჯარო ხელისუფლებამ ქვეყნის მასშტაბით დაბლოკვასა და გაფილტვრასთან დაკავშირებული ზომები მხოლოდ იმ შემთხვევებში შეიძლება გაატაროს, თუ გაფილტვრა კონკრეტულ და ნათლად განსაზღვრულ კონტენტზე ვრცელდება, მისი კანონიერების შესახებ გადაწყვეტილება მიღებულია კომპეტენტური ეროვნული ადმინისტრაციის მიერ, რომელიც შეიძლება გადაისინჯოს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს, ან მარეგულირებელი ორგანოს მიერ, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მოთხოვნების დაცვით.[36] საჯარო ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს, რომ ყველა ფილტრების შეფასება

33. იხილეთ ზემოთ სქოლიო 2, § 64.
34. იქვე, § 66-70.
35. მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2008)6 წევრი სახელმწიფოებისათვის ინტერნეტ ფილტრების გამოყენებასთან დაკავშირებით გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლების პატივისცემის ხელშეწყობაზე მიმართული ღონისძიებების თაობაზე, იხილეთ დანართი, ნაწილი III, ii . ასევე იხილეთ ზემოთ სქოლიო 1.
36. იქვე, CM/Rec(2008)6, იხილეთ დანართი, ნაწილი III, iv.

მოხდება როგორც მათ გამოყენებამდე, ასევე გამოყენების პროცესში, რათა ისინი თანაზომიერი იყოს შეზღუდვის მიზანთან, და აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში, რათა თავიდან იყოს აცილებული კონტენტის გაუმართლებელი დაბლოკვა.[37]

50. ზომები, რომლებიც ინტერნეტის გარკვეული კონტენტის დაბლოკვაზეა მიმართული, არ უნდა იყოს გამოყენებული მიკერძოებულად, როგორც ზოგადად ინტერნეტზე ინფომაციის დაბლოკვის საშუალება. ასეთ ზომებს არ უნდა ჰქონდეთ თანმდევი ეფექტი, რის შედეგადაც ინფორმაციის დიდი მოცულობა მიუწვდომელი გახდება, რაც ინტერნეტ მომხმარებლების უფლებების მნიშვნელოვან შეზღუდვას გამოიწვევს.[38] ასეთი ზომები კანონით უნდა იყოს გათვალისწინებული. დაბლოკვის მოცულობაზე მკაცრი კონტროლი უნდა დამყარდეს და ეფექტური სასამართლო გადასინჯვის მექანიზმი უნდა არსებობდეს, რათა ძალაუფლების ბოროტად გამოყენების პრევენცია განხორციელდეს.[39] ასეთი ზომის სასამართლო გადახედვა კონკურენტული ინტერესების შეფასებას გულისხმობს, მათ შორის ბალანსის მიღწევას და იმის განსაზღვრას, შესაძლებელია თუ არა ისეთი ზომის გამოყენება კონკრეტული ინტერნეტ კონტენტის დასაბლოკად, რომელსაც ნაკლებად მძიმე ზემოქმედება ექნება.[40] ზემოთხსენებული მოთხოვნები და პრინციპები არ ზღუდავენ ფილტრების დაყენების შესაძლებლობას არასრულწლოვანთა დაცვის მიზნით გარკვეულ დაწესებულებებში, სადაც მათ ინტერნეტზე წვდომა აქვთ, მაგალითად სკოლებში ან ბიბლიოთეკებში.[41]

51. ინტერნეტ კონტენტის გაფილტვრა და დე-ინდექსაცია საძიებო სისტემების გამოყენებით დაკავშირებულია ინტერნეტ მომხმარებლების გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის რისკთან. საძიებო სისტემებს World Wide Web-ზე ინფორმაციის ინდექსაციის უფლება აქვთ. მათ არ მოეთხოვებათ საკუთარი ქსელებისა და სერვისების პროაქტიული მონიტორინგი, რათა სავარაუდო უკანონო კონტენტის იდენტიფიცირება მოახდინონ და ასევე არ არიან ვალდებული განახორციელონ წინასწარი გაფილტვრა ან აქტივობის დაბლოკვა გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს შესაბამისი სასამართლო, ან კომპეტენტური ორგანოს დადგენილებითაა მოთხოვნილი. გარკვეული ვებგვერდების დეინდექსაცია ან გაფილტვრა საჯარო ხელისუფლების მოთხოვნით უნდა განხორციელდეს გამჭვირვალედ, მხოლოდ დასახული მიზნის მისაღწევად, და რეგულარულად გადაისინჯოს შესაბამისი პროცედურული მოთხოვნების დაცვით.[42]

52. მოცემულ ნაწილში ასევე განხილულია ზოგიერთი გარანტიები, რომლებიც ინტერნეტ მომხმარებლებზე უნდა გავრცელდეს გარკვეული შეზღუდვების დაწესების შემთხვევაში და ყურადღება გამახვილებულია მომხმარებლებისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებაზე მსგავსი შეზღუდვების გასაჩივრების შესაძლებლობების

36. იქვე, CM/Rec(2008)6, იხილეთ დანართი, ნაწილი III, iv.
37. იქვე.
38. იხილეთ ზემოთ სქოლიო 2, § 52; 66- 68 და მინისტრთა კომიტეტის დეკლარაცია ინტერნეტით კომუნიკაციის თავისუფლების თაობაზე
39. იქვე, იხილეთ ზემოთ სქოლიო 2, § 64. ასოციაცია „ეკინ“ საფრანგეთის წინააღმდეგ, no 39288/98
40. იქვე, იხილეთ ზემოთ სქოლიო 2, § 64-66.
41. იხილეთ დეკლარაცია ინტერნეტით კომუნიკაციის თავისუფლების თაობაზე, მე-3 პრინციპი
42. იხილეთ მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2012)3 წევრი სახელმწიფოებისათვის ძიების სისტემებთან მიმართებაში ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ, დანართი, ნაწილი III.

თაობაზე. ეს ასპექტები განხილულია მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციაში გაფილტვრისა და დაბლოკვის ღონისძიებების თაობაზე.[43] ინტერნეტ მომხმარებლებს ინფორმაცია უნდა მიეწოდოთ იმის თაობაზე, თუ როდის ხდება ფილტრების აქტივაცია, რატომ მოხდა გარკვეული სახის კონტენტის გაფილტვრა და მათ უნდა ესმოდეთ, თუ როგორ, და რა კრიტერიუმების შესაბამისად ხორციელდება გაფილტვრა (მაგალითად, შავი სიები, თეთრი სიები, საკვანძო სიტყვის დაბლოკვა, კონტენტის რეიტინგი, საძიებო სისტემების მიერ გარკვეული ვებგვერდების ან კონტენტის დეინდექსაცია ან გაფილტვრა). ინტერნეტ მომხმარებლებს ნათელი ინფორმაცია და განმარტებები უნდა მიეწოდოთ აქტიური ფილტრის მომხმარებლის მიერ მექანიკური კონტროლის შესახებ, ასევე იმის თაობაზე, თუ ვის უნდა მიმართონ, როდესაც კონტენტის გაუმართლებელი დაბლოკვა ხდება, და იმ საშუალებების თაობაზე, რომელთა გამოყენებით ფილტრის დაძლევა არის შესაძლებელი კონკრეტული კონტენტის ან ვებგვერდის წვდომის მიზნით. ინტერნეტ მომხმარებლებისთვის ადვილად მისაწვდომი უნდა იყოს მათი უფლებების დაცვის ეფექტური საშუალებები, მათ შორის ფილტრების მოქმედების შეჩერება იმ შემთხვევებში, როდესაც მომხმარებლის საჩივრის შესაბამისად კონტენტი გაუმართლებლად დაიბლოკა.

53. შესაძლებელია, რომ ისეთმა კომპანიებმა, როგორიცაა სოციალური ქსელები, ამოიღონ ინტერნეტ მომხმარებლების მიერ შექმნილი და გავრცელებული კონტენტი. ამ კომპანიებმა ასევე შეიძლება მომხმარებლის ანგარიშის დეაქტივაცია მიახდინონ (მაგ. მომხმარებლის პროფილი ან სოციალურ გვერდებზე მისი კონტენტი) და ასეთი ზომები მომხმარებლის მიერ კომპანიების პირობებისა და მოთხოვნების შეუსრულებლობით გაამართლონ. ასეთი ზომები შეიძლება გამოხატვის თავისუფლებისა და ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების უფლების დარღვევად ჩაითვალოს გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დაკმაყოფილებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პარაგრაფის მოთხოვნები სასამართლოს მიერ მათი არსის ინტერპრეტაციის დაცვით.[44]

54. გაერთიანებული ერების ბიზნესისა და ადამიანის უფლებების საკითხებზე სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად (რაც არ არის სავალდებულო ხასიათის დოკუმენტი), კომპანიები ვალდებული არიან პატივი სცენ ადამიანის უფლებებს, რაც გულისხმობს, რომ მათ თავი უნდა შეიკავონ ადამიანის უფლებების დარღვევისგან და რეაგირება მოახდინონ იმ უარყოფითი შედეგების აღმოფხვრის მიზნით, რაც მათ კომპანიაში ადამიანის უფლებების დარღვევის შემთხვევებით შეიძლება იყოს გამოწვეული. ადამიანის უფლებების დაცვისა და უფლებების აღდგენის ეფექტური საშუალებების უზრუნველყოფის ვალდებულება სახელმწიფოებს ეკისრებათ. ეს ვალდებულება განმარტებულია გამოხატვის თავისუფლების ნაწილის მე-5 პარაგრაფში. ონლაინ სერვისების მიმწოდებლების კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს მათ ვალდებულებას არ დაუშვან ისეთი შინაარსის ინფორმაციის გავრცელება, რომელიც შეიცავს სიძულვილის ენას და აქეზებს ძალადობას, შუღლს ან დისკრიმინაციას. ონლაინ სერვისების

43. იხილეთ ზემოთ სქოლიო 34, CM/Rec(2008)6, იხილეთ დანართი, ნაწილი I; იქვე, CM/Rec(2012)3, დანართი, ნაწილი III.

44. მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec (2011)7 წევრი სახელმწიფოებისათვის მედიის ახალი ცნების შესახებ, §.7, დანართი, §15; 44-47; 68 -69 ; მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2012)4 წევრი სახელმწიფოებისათვის სოციალური ქსელების მომსახურეობასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებების დაცვის თაობაზე, § 3.

მიმწოდებლები ყურადღებით უნდა ეკიდებოდნენ ისეთი ხასიათის მასალების გამოქვეყნებას, სარედაქციო პასუხებს, ან გამონათქვამებს, რომლებიც რასისტული, ქსენოფობიური, ანტისემიტური, ქალთმოძულე, სექსისტური, ან სხვა მიკერძოებული დამოკიდებულებითაა მოტივირებული (მათ შორის ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი ან ტრანსგენდერი ადამიანების მიმართ).[45] ამ სერვისების მიმწოდებლები მზად უნდა იყვნენ დაეხმარონ ინტერნეტ მომხმარებლებს ისეთი კონტენტის, ან გამონათქვამების, მოსაზრებების, და/ან ქცევის თაობაზე განცხადებაში, რომელიც შეიძლება უკანონოდ იყოს მიჩნეული.[46]

55. სახელმძღვანელო ინფორმაციას აწვდის ინტერნეტ მომხმარებლებს იმის თაობაზე, რომ ონლაინ სერვისების მიმწოდებლები, რომლებიც მომხმარებლების მიერ შექმნილი კონტენტის „ჰოსტინგს“ სთავაზობენ, ვალდებული არიან რამოდენიმე დონეზე განახორციელონ ამ კონტენტის შინაარსის სარედაქციო შესწავლა.[47] მათი სარედაქციო თავისუფლების შეზღუდვის გარეშე, მათ მოეთხოვებათ უზრუნველყონ, რომ დაცულია ინტერნეტ მომხმარებლების უფლება მოიძიონ, მიიღონ და გაავრცელონ ინფორმაცია, როგორც ამას ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი მოითხოვს.[48] ეს გულისხმობს, რომ ინტერნეტ მომხმარებლის მიერ გენერირებულ კონტენტზე ნებისმიერი შეზღუდვა უნდა იყოს ნათლად განსაზღვრული, გამართლებული იმ მიზეზით, რამაც შეზღუდვა განაპირობა, და ამის თაობაზე შესაბამის მომხმარებელს უნდა ეცნობოს.

56. ინტერნეტ მომხმარებელს საშუალება უნდა ჰქონდეს მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილება იმის თაობაზე, ისარგებლოს რომელიმე ონლაინ მომსახურებით, თუ არა. პრაქტიკაში ეს ნიშნავს, რომ ინტერნეტ მომხმარებელი წინასწარ უნდა იყოს ინფორმირებული იმის თაობაზე, რომ იგეგმება მის მიერ შექმნილი კონტენტის ამოღება, და/ან მისი ანგარიშის დეაქტივაცია.[49] ინტერნეტ მომხმარებლებისთვის ნათელ და გასაგებ ენაზე უნდა იყოს მისაწვდომი ინფორმაცია იმ ფაქტებისა და საფუძვლის თაობაზე, რის გამოც კონტენტის ამოღებასა ან ანგარიშის დეაქტივაციასთან დაკავშირებული ზომები ტარდება. ეს ასევე შეეხება საკანონმდებლო ნორმებს, რის საფუძველზეც ზემოთხსენებული ზომები უნდა გატარდეს, და სხვა ელემენტებს, რომლებიც გამოიყენება დასახული მიზნის ლეგიტიმურობისა და გატარებული ღონისძიებების თანაზომიერების შეფასების მიზნით. მომხარებელი ასევე უფლებამოსილი უნდა იყოს მოითხოვოს კონტენტის ამოღებისა და/ან ანგარიშის დეაქტივაციის თაობაზე გადაწყვეტილების გადასინჯვა გონივრულ ვადაში და უნდა გააჩნდეს მიღებული გადაწყვეტილების კომპეტენტურ ორგანოში და/ან სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობა.

57. მე-6 პარაგრაფი ანონიმურობის საკითხს შეეხება. ეს საკითხი განხილულია სასამართლოს პრეცედენტული სამართლის, ბუდაპეშტის კონვენციისა და მინისტრთა კომიტეტის სხვა ინსტრუმენტების მოთხოვნების გათვალისწინებით. სასამართლომ

45. იქვე, CM/Rec (2011)7, § 91.
46. იქვე, CM/Rec(2012)4, II/10.
47. იქვე, CM/Rec (2011)7, § 18; 30-31.
48. იქვე, CM/Rec (2011)7, § 7, მეორე აბზაცი.
49. იხილეთ ანგარიშის დეაქტივაცია და კონტენტის ამოღება: სახელმძღვანელო პრინციპები და პრაქტიკა კომპანიებისა და მომხმარებლებისთვის, ავტორები: ერიკა ნიულენდი, კაროლინა ნოლანი, სინტია ვონგი და ჯილიან იორკი, გამოქვეყნებულია: http://cyber.law.harvard.edu/sites/cyber.law.harvard.edu/files/Final_Report_on_Account_Deactivation_and_Content_Removal.pd.f

იმსჯელა ინტერნეტ კომუნიკაციის კონფიდენციალურობასთან დაკავშირებულ საკითხებზე საქმესთან მიმართებაში, რომელიც შეეხებოდა ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოს მიერ მისი ვალდებულების შეუსრულებლობას, რადგანაც მან ვერ აიძულა ინტერნეტ სერვისების მიმწოდებელი გაემჟღავნებინა იმ პირის ვინაობა, რომელმაც უხამსი რეკლამა განათავსა ინტერნეტ პაემნების ვებგვერდზე არასრულწლოვანთან დაკავშირებით. სასამართლომ დაადგინა, რომ მიუხედავად იმისა, რომ გამოხატვის თავისუფლება და კომუნიკაციის კონფიდენციალურობა უმთავრესი პრინციპებია და სატელეკომუნიკაციო და ინტერნეტ სერვისების მომხმარებლები გარანტირებული უნდა იყონ, რომ მათი პირადი ცხოვრებისა და გამოხატვის თავისუფლების პატივისცემა იქნება უზრუნველყოფილი, ასეთი გარანტია არ არის აბსოლუტური ხასიათის, და გარკვეულ შემთხვევებში ისინი უნდა დაემორჩილონ სხვა ლეგიტიმურ იმპერატივებს, მაგალითად, ისეთს, როგორიცაა უწესრიგობის ან დანაშაულის აღკვეთა, ან სხვა პირების უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის აუცილებლობა. სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება გააჩნია უზრუნველყოს შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც ამ ურთიერთსაპირისპირო ინტერესებს შეაჯერებს.[50]

58. ბუდაპეშტის კონვენცია არ ახდენს კომპიუტერული ტექნოლოგიების ანონიმური კომუნიკაციის მიზნებში კრიმინალიზაციას. კონვენციის განმარტებითი ანგარიშის შესაბამისად „ტრეფიკის მონაცემების მოდიფიკაცია ანონიმური კომუნიკაციის ხელშეწყობის მიზნით (მაგ. ელექტრონული ფოსტის ავტომატური გადამისამართების ანონიმური სისტემის მოქმედებები), ან მონაცემების მოდიფიკაცია დაცული კომუნიკაციის მიზნით (მაგალითად, დაშიფრვა), პირადი მონაცემების და ინფორმაციის ლეგიტიმურ დაცვად უნდა მოიაზრებოდეს და შესაბამისად, ამ უფლებით სარგებლობა დაშვებული უნდა იყოს. მიუხედავად ამისა, ბუდაპეშტის კონვენციის ხელშემკვრელი მხარეები უფლებამოსილი არიან მოახდინონ ანონიმურ კომუნიკაციასთან დაკავშირებული გარკვეული დარღვევების კრიმინალიზაცია, მაგალითად, როდესაც პაკეტის დასათაურებაში ასახული ინფორმაციის მოდიფიკაცია ხდება დანაშაულის ამსრულებლის ვინაობის დამალვის მიზნით.”[51]

59. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა მხარი დაუჭირა ანონიმურობის პრინციპს თავის დეკლარაციაში ინტერნეტით კომუნიკაციის თავისუფლების თაობაზე.[52] შესაბამისად, ონლაინ მიყურადებისგან დაცვისა და გამოხატვის თავისუფლების ხელშეწყობის მიზნით, ევროპის საბჭოს წევრმა სახელმწიფოებმა პატივი უნდა სცენ ინტერნეტ მომხმარებლის ნებას არ გაამჟღავნონ საკუთარი ვინაობა. მიუხედავად ამისა აღსანიშნავია, რომ ანონიმურობის პატივისცემა არ ზღუდავს წევრი სახელმწიფოების უფლებას შესაბამისი ზომები გაატარონ, რათა მიაკვლიონ სისხლის სამართლის დანაშაულის ამსრულებლებს მართლმსაჯულებისა და პოლიციის საქმიანობის სფეროს მარეგულირებელი ეროვნული კანონმდებლობის, საერთაშორისო შეთანხმებებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მოთხოვნების დაცვით.

---

50. კ.უ. ფინეთის წინააღმდეგ, no. 2872/02 § 49.
51. ბუდაპეშტის კონვენცია კიბერდანაშაულის შესახებ, მუხლი 2, განმარტებითი ანგარიში, §. 62.
52. იხილეთ ინტერნეტით კომუნიკაციის თავისუფლების შესახებ დეკლარაციის მე-7 პრინციპი

შეკრება, გაერთიანება და მონაწილეობა

60. შეკრებისა და გაერთიანებების თავისუფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-11 მუხლშია ასახული. ეს უფლება დაკავშირებულია სასამართლოს მიერ პოლიტიკური მოსაზრებების გამოხატვასთან დაკავშირებით დადგენილ პრინციპებთან, კერძოდ, რომ მცირე შესაძლებლობები არსებობს იმისა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პარაგრაფით გათვალისწინებული შემზღუდველი დათქმები გავრცელდეს პოლიტიკური აზრის გამოხატვასა ან პოლიტიკურ დებატებზე ისეთი თემების გარშემო რომლებიც საზოგადოების ინტერესს იწვევენ.[53]

61. ინტერნეტ მომხმარებელს უფლება აქვს ინტერნეტის მეშვეობით მონაწილეობა მიიღოს მშვიდობიან შეკრებებსა და გაერთიანებებში. ეს გულისხმობს სოციალური ჯგუფების და გაერთიანებების საქმიანობაში მონაწილეობის მიღების უფლებას, მათ შორის პროფესიულ კავშირებში გაერთიანების უფლებას, ინტერნეტზე დაფუძნებული ინსტრუმენტების გამოყენებით. მოცემული უფლება ასევე გულისხმობს პეტიციაზე ხელმოწერის კამპანიასა, ან სამოქალაქო აქტივობის სხვა ფორმაში მონაწილეობის მიღების უფლებას. მომხმარებელს უფლება უნდა ჰქონდეს ამ უფლების რეალიზაციის მიზნით თავად აირჩიოს ისეთი ინსტრუმენტები, როგორიცაა ვებგვერდები, აპლიკაციები ან სხვა სერვისები. მოცემული უფლებით სარგებლობა შესაძლებელია დამოუკიდებლად იმისა, აღიარებულია თუ არა ოფიციალურად ხელისუფლების მიერ სოციალური ჯგუფები ან გაერთიანებები.

62. პროტესტის უფლება თანაბრად ვრცელდება როგორც ონლაინ, ასევე ოფლაინ გარემოზე. აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-11 მუხლით გამყარებული შეკრების თავისუფლება ასევე ვრცელდება ისეთ პროტესტებზე, რომლებიც უარყოფითად აისახებიან საზოგადოებაზე, მაგალითად იწვევენ გარკვეული შენობებისა და ტერიტორიებისადმი მისასვლელის დაბლოკვას. იმავდროულად გასათვალისწინებელია, რომ ეს გარანტიები შეიძლება ყოველთვის არ გავრცელდეს ისეთ ქმედებებზე, რომლებიც ონლაინ სერვისისადმი ზიანის მიყენებას იწვევენ. ასეთი ქმედებების მაგალითია გარკვეული ვებგვერდის, ან შეზღუდული წვდომის ონლაინ სივრცისადმი არაუფლებამოსილი წვდომა, ან ციფრული კონტენტის წვდომა და მოდიფიკაცია შესაბამისი ავტორიზაციის გარეშე. ნებისმიერ შემთხვევაში, უაღრესად მნიშვნელოვანია მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდება იმის თაობაზე, რომ ონლაინ პროტესტის თავისუფლება, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სერვისისადმი ზიანის მიყენება და მისი შეფერხება, ყოველთვის არ არის დაცული და ამას შეიძლება შესაბამისი შედეგები მოჰყვეს.

63. ინტერნეტი მოქალაქეებისთვის დემოკრატიული საზოგადოებების მშენებლობისა და გაძლიერების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი გახდა. მინისტრთა კომიტეტი რეკომენდაციას აძლევს წევრ სახელმწიფოებს შეიმუშაონ სტრატეგიები ელექტრონული დემოკრატიის, ელექტრონული მონაწილეობისა და ელექტრონული მმართველობის დანერგვის ხელშესაწყობად, რათა უზრუნველყოფილი იყოს საჯარო

53. უინგროუ გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, 1996 წლის 25 ნოემბერი, § 58, ანგარიშები 1996 V.

ხელისუფლებასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის კომუნიკაცია, და ასევე საჯარო სერვისების შეთავაზება საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით (ICT).[54]

64. ეს გულისხმობს ადგილობრივ, ეროვნულ და გლობალურ პოლიტიკურ დებატებში, საკანონმდებლო ინიციატივებში და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის მიღების უფლებას, მათ შორის პეტიციების ხელმოწერის უფლებას საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით. ზემოთხსენებული ეფუძნება მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციას წევრი სახელმწიფოებისათვის, რომელიც მოუწოდებს მათ ხელი შეუწყონ მოქალაქეების მიერ საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებას (ონლაინ ფორუმები, ვებლოგები, პოლიტიკური ჩატები, ტექსტური შეტყობინებები, და მოქალაქეებს შორის კომუნიკაციის სხვა ფორმები) დემოკრატიულ პროცესებში, ელექტრონულ აქტივიზმში, ელექტრონულ კამპანიებში მონაწილეობის მიღების, საკუთარი მოსაზრებების გამოხატვის, მთავრობასთან დიალოგის და ხელმძღვანელი თანამდებობების პირებისა და პოლიტიკოსების საქმიანობაზე ზედამხედველობის მიზნით იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც საზოგადოების ინტერესს იწვევენ.

პირადი ცხოვრების უფლება და მონაცემთა დაცვა

65. პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლითაა გამყარებული. მოცემული უფლება დამატებით ინტერპრეტირებულია სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში და ასახულია ევროპის საბჭოს 108-ე კონვენციაში.

66. პირადი ცხოვრება წარმოადგენს ცნებას, რომელიც ძნელად ექვემდებარება ამომწურავი დეფინიციის შემუშავებას. სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ კონვენციის მე-8 მუხლი ძალიან ფართო დიაპაზონის ინტერესებს მოიცავს, კერძოდ კი პირად და ოჯახურ ცხოვრებას, კორესპონდენციას, საფოსტო კორესპონდენციას, მათ შორის სამუშაო ადგილას ელექტონული ფოსტით კორესპონდენციის და სატელეფონო კომუნიკაციას.[55] პირადი ცხოვრება გულისხმობს პირის უფლებას საკუთარ გამოსახულებაზე,[56] მაგალითად, ფოტოგრაფიებსა და ვიდეოკლიპებზე. იგი ასევე მოიაზრებს პირის იდენტობას და პიროვნულ განვითარებას, სხვა ადამიანებთან ურთიერთობების დამყარების უფლებას. ეს უფლება ასევე მიცავს პროფესიული ან ბიზნეს ხასიათის საქმიანობას.[57]

67. მომხმარებლების ბევრი აქტივობა პერსონალური მონაცემების ავტომატურ დამუშავებასთანაა დაკავშირებული. ამის მაგალითებია ბრაუზერი, ელექტრონული ფოსტა, ელექტრონული შეტყობინებები, „ვოისოვერ“ ინტერნეტ პროტოკოლები, სოციალური ქსელები, საძიებო სისტემები და „ქლაუდში“ მონაცემთა შენახვის სერვისები. 108-ე კონვენცია ვრცელდება ყველა ოპერაციებზე, რომლებიც ინტერ-

54. იხილეთ ზემოთ სქოლიო 9, CM/Rec(2007)16, დანართი, ნაწილი I.
55. კლასი და სხვები გერმანიის წინააღმდეგ, no 5029/71, §41.
56. ვონ ჰანოვერი გერმანიის წინააღმდეგ, (no. 2), nos. 40660/08 და 60641/08 §§ 108-113. სიაკა იტალიის წინააღმდეგ, no. 50774/99, § 29.
57. როტარუ რუმინეთის წინააღმდეგ, (no. 28341/95); პ.გ. და ჯ.ჰ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (no. 44787/98); პეკი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (no. 44647/98); პერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (no. 63737/00); ამანი შვეიცარიის წინააღმდეგ (no. 27798/95).

ნეტით ხორციელდება, რაც მოიცავს პირადი მონაცემების შეგროვებას, შენახვას, მოდიფიკაციას, წაშლას, აღდგენას, ან გავრცელებას.[58]

68. არსებობს პრინციპები და წესები, რომლებიც დაცული უნდა იყონ საჯარო ხელისუფლების ორგანოებისა და კერძო კომპანიების მიერ, რომლებიც პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე არიან პასუხისმგებელი. მომხმარებელი ინფორმირებული უნდა იყოს იმის შესახებ, თუ როგორ ხდება მისი მონაცემების დამუშავება და თუ შეიძლება ამასთან დაკავშირებით შესაბამისი ზომების გატარება, მაგალითად, მონაცემების შესწორების ან წაშლის თაობაზე თხოვნით მიმართვა. 108-ე კონვენციის შესაბამისად, პერსონალური მონაცემები კანონიერი და სამართლიანი გზით უნდა იყოს მიღებული, დამუშავებული, და შენახული კონკრეტულ და კანონიერ მიზნებში. პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებული ზომები უნდა იყოს ადეკვატური, რელევანტური და თანაზომიერი იმ მიზნისა, რომლის გამოც მონაცემების შენახვა ხდება; მონაცემები უნდა იყოს ზუსტი, და საჭიროების შემთხვევაში უნდა განახლდეს, ისინი უნდა ინახებოდნენ ისეთი გზით, რომ იმ პირის იდენტიფიცირება იყოს შესაძლებელი, რომლის პერსონალური მონაცემების დამუშავება ხდება, და მონაცემები არ უნდა ინახებოდეს იმაზე უფრო დიდი ხნის განმავლობაში, ვიდრე საჭიროა იმ მიზნისთვის, რის გამოც ეს მონაცემები ინახება.[59]

69. ყურადღება გამახვილებულია მონაცემების დამუშავების ორ ძირითად პრინციპზე: მონაცემთა დამუშავების კანონიერებაზე, და მომხმარებლის თანხმობაზე. მომხმარებელი ინფორმირებული უნდა იყოს იმის თაობაზე, რომ მონაცემების დამუშავება მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვეევებშია დაშვებული და როდესაც მან ამაზე თანხმობა განაცხადა, მაგალითად, ინტერნეტ სერვისით სარგებლობის პირობებსა და მოთხოვნებს მოაწერა ხელი.

70. ამჟამად განიხილება ინტერნეტზე არსებული პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე პირის თავისუფალი, კონკრეტული, ინფორმირებული და ცალსახა თანხმობის გაცემასთან დაკავშირებული საკითხების 108 კონვენციაში ასახვის შესაძლებლობა.[60] ინფორმირებული თანხმობა ნახსენებია მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციაში CM/Rec(2012)4 წევრი სახელმწიფოებისათვის სოციალური ქსელების სერვისებთან მიმართებაში ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ. კერძოდ, სოციალურმა ქსელებმა უნდა მიიღონ საკუთარი მომხმარებლებისგან ინფორმირებული თანხმობა მანამდე, სანამ მათი პერსონალური მონაცემების გავრცელება ან გაზიარება მოხდება სხვა კატეგორიების ადამიანებისა ან კომპანიებისთვის, ან თუ ეს მონაცემები თავდაპირველად განსაზღვრულ მათი შეგროვების მიზნებისგან განსხვავებულ მიზნებში იქნება გამოყენებული. მომხმარებლის თანხმობის მიღება ასევე გულისხმობს, რომ მათ უნდა ჰქონდეთ პირადი მონაცემებისადმი მესამე მხარეების წვდომის უფლება (მაგალითად,

58. იხილეთ 108 კონვენცია, მუხლი 2.

59. პერსონალური მონაცემების ავტომატური გზით დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ კონვენცია (ETS No.108).

60. პერსონალური მონაცემების ავტომატური გზით დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ კონვენციის საკონსულტაციო კომიტეტმა (ETS No.108) მთელი რიგი წინადადებები შეიმუშავა კონვენციის გადასინჯვასა და განახლებასთან დაკავშირებით (T-PD(2012)4Rev3_en). ერთ-ერთი ასეთი წინადადება შეეხება პირის წინასწარი თანხმობას, როგორც პერსონალური მონაცემების დამუშავების წინაპირობას. “ყველა მხარე აიღებს ვალდებულებას, რომ მონაცემთა დამუშავება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ იმ თავისუფალი, კონკრეტული და ცალსახა ინფორმირებული თანხმობის საფუძველზე, ვისი მონაცემებიც უნდა დაექვემდებაროს დამუშავებას, ან კანონით გათვალისწინებულ მართლზომიერ საფუძველზე“.

როდესაც სოციალურ ქსელებზე მესამე მხარეების აპლიკაციებია განთავსებული). აღსანიშნავია, რომ მომხმარებელს უფლება უნდა ჰქონდეს გააუქმოს თავისი თანხმობა.

71. მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2010)13 წევრი სახელმწიფოებისათვის პერსონალური მონაცემების ავტომატური გზით დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ პროფილების შედგენის კონტექსტში. ეს მოიაზრება როგორც მონაცემების ავტომატური გზით დამუშავების ტექნიკა, რომელიც გულისხმობს ფიზიკური პირებისათვის შესაბამისი პროფილის მიკუთვნებას, მათთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების, ან მათი პირადი პრეფერენციების, ქცევის ან დამოკიდებულებების ანალიზისა და პროგნოზირების მიზნით. მაგალითად, ინტერნეტ მომხმარებლის პერსონალური მონაცემები შეიძლება მოგროვებული იყოს მის სხვადასხვა ვებგვერდებთან და აპლიკაციებთან ინტერაქციის, ან ინტერნეტ ბრაუზინგის გამოყენებით (მაგ. იმ ვებგვერდებისა და კონტენტის თაობაზე ინფორმაციის მოძიების გზით, რომლებსაც მომხმარებელი ნახულობს ან ეძებს). საიდენტიფიკაციო ფაილები, ანუ ე.წ. „ქუქი-ფაილები“ მომხმარებელთა ბრაუზინგის აქტივობაზე თვალყურის დევნების ძირითადი ინსტრუმენტია. ეს მომხმარებლის ტექნიკაზე ინფორმაციის შენახვისა და შემდგომში მისი აღდგენისა და გამოყენების გზით ხორციელდება. რეკომენდაციაში საუბარია ინტერნეტ მომხმარებლის უფლებაზე თანხმობა განაცხადოს პერსონალური მონაცემების გამოყენებაზე მისი პროფილის შედგენასთან დაკავშირებით, და თანხმობის გაუქმების უფლებაზე.[61]

72. ინტერნეტ მომხმარებლის უფლებები მისი პერსონალური მონაცემების დამუშავების კონტექსტში განხილულია ევროპის საბჭოს სხვადასხვა ინსტრუმენტებში. 108-ე კონვენციის შესაბამისად პირს უნდა შეეძლოს იმის დადგენა, რომ მისი პერსონალური მონაცემების დამუშავება ხდება კერძო, ან იურიდიული პირის მიერ; ასევე იმის გაგება, თუ რა ძირითად მიზნებს ისახავს მონაცემთა დამუშავება, მონაცემების დამუშავების განმახორციელებელი ორგანიზაციის დასახელების და მდებარეობის, ან მისი სათაო ოფისის მდებარეობის თაობაზე ინფორმაციის მიღება; მას ასევე უფლება აქვს საჭიროების შემთხვევაში, გარკვეული პერიოდულობითა და ზედმეტი დაგვიანებისა თუ დანახარჯების გარეშე, მიიღოს ინფორმაცია იმის შესახებ, ინახება თუ არა მისი პერსონალური მონაცემები, და მოითხოვოს ამ მონაცემების მისთვის მიწოდება მისაღები ფორმით“[62]

73. მომხმარებლების ინფორმირება ასევე განხილულია მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციაში CM/Rec(2012)4 წევრი სახელმწიფოებისათვის სოციალური ქსელების სერვისების კონტექსტში ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ. სოციალურ ქსელებში დარეგისტრირებული ინტერნეტ მომხმარებლები ნათელი და გასაგები სახით უნდა იყოს ინფორმირებული სერვისების მიმწოდებლის მიერ მისი სერვისით სარგებლობის პირობებში ცვლილებების შეტანის თაობაზე. ეს ასევე მოიცავს ისეთ სხვა ასპექტებს, როგორიცაა მესამე მხარის აპლიკაციების დაინსტალირება, რაც რისკს უქმნის მომხმარებლის პერსონალური მონაცემების კონფიდენციალურობას;

61. მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2010)13 წევრი სახელმწიფოებისათვის პერსონალური მონაცემების ავტომატური გზით დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ პროფილების შედგენის კონტექსტში, ნაწილი 5.
62. 108-ე კონვენცია, მუხლი 8.

კანონმდებლობას, რომელიც სოციალური ქსელების სერვისებს და პერსონალური მონაცემების დამუშავებას არეგულირებს; მომხმარებლების პროფილებისა და კომუნიკაციის ღია წვდომის (დროის და გეოგრაფიული თვალსაზრისით) შედეგებს; კერძო და საჯარო კომუნიკაციას შორის განსხვავებების განმარტებას; ინფორმაციის საჯარო წვდომის შედეგებს, მათ შორის მესამე მხარეებისთვის ინფორმაციის შეუზღუდავი წვდომის და მონაცემების შეგროვების უფლების მინიჭებას; ინფორმირებული თანხმობის წინასწარ მიღების ვალდებულებას იმ პირებისგან, ვისი პერსონალური მონაცემების, მათ შორის ვიდეო და აუდიო კონტენტის გამოქვეყნება უნდა მოხდეს იმ შემთხვევებში, როდესაც მათ პირადად არჩეული კონტაქტების გარდა სხვა პირებისთვისაც გახადეს მისაწვდომი ეს ინფორმაცია. ინტერნეტ მომხმარებლებს ასევე ინფორმაცია უნდა მიეწოდოთ მათი პროფილის შედგენის მიზნით პერსონალური მონაცემების დამუშავების საფუძვლად გამოყენებული ლოგიკის თაობაზე.

74. 108-ე კონვენციის შესაბამისად, ინტერნეტ მომხმარებლებს თავიანთ პირად მონაცემებზე კონტროლის საშუალება უნდა მიეცეთ, კერძოდ, იმ მონაცემებში შესწორებების შეტანის, ან წაშლის მოთხოვნის უფლება, რომლებიც კანონის მოთხოვნების დარღვევით იქნა დამუშავებული; ინტერნეტ მომხმარებლებს ასევე უფლება აქვთ მოითხოვონ ქმედითი სამართლებრივი მისაგებელი იმ შემთხვევებში, თუ მათი თხოვნა ინფორმაციის მიწოდების, შესწორებების შეტანის, ან წაშლის თაობაზე არ იქნა დაკმაყოფილებული.[63]

75. მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციაში CM/Rec(2012)3 წევრი სახელმწიფოებისათვის საძიებო სისტემების გამოყენებასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ საუბარია მთელ რიგ ღონისძიებებზე, რაც სერვის პროვაიდერებს შეუძლიათ გაატარონ საკუთარი მომხმარებლების პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით. ეს გულისხმობს პერსონალური მონაცემების დაცვას მესამე მხარეების მიერ არაუფლებამოსილი წვდომისგან და მონაცემთა გაჟონვის თაობაზე შეტყობინებების მიწოდების სქემებს. ასეთი ღონისძიებები ასევე უნდა მოიცავდნენ მონაცემთა უწყვეტ დაცვას მომხმარებელსა და საძიებო სისტემების პროვაიდერს შორის კომუნიკაციის შიფრირების გზით. საძიებო სისტემის პროვაიდერის სხვადასხვა სერვისებისა და პლატფორმებიდან მიღებულ მონაცემთა ჯვარედინი კორელაცია შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევებში განხორციელდეს, თუ მომხმარებელმა ცალსახა თანხმობა განაცხადა კონკრეტული სერვისით სარგებლობასთან დაკავშირებით. მომხმარებლებს საშუალება უნდა ჰქონდეთ ასეთი სერვისებით სარგებლობის პროცესში გააჩნდეთ საკუთარი მონაცემებისადმი, მათ შორის პირდაპირი მარკეტინგული მიზნით შექმნილი პროფილიებს წვდომა და შეეძლოთ მონაცემებში შესწორების შეტანა.[64]

76. სოციალურმა ქსელებმა დახმარება უნდა გაუწიონ მომხმარებლებს მათი მონაცემების მართვასა და დაცვაში შემდეგი გზით:

- *დეფოლტ პარამეტრები კონფიდენციალურობის დაცვის მიზნით* - მოცემული პარამეტრები ზღუდავენ მომხმარებლის მიერ იდენტიფიცირებული და შერ-

63. იხილეთ ზემოთ სოქლიო 60, მუხლი 8.
64. იხილეთ რეკომენდაცია CM/Rec(2012)3, დანართი, II ნაწილი.

ჩეული კონტაქტების წვდომას. ეს ასევე გულისხმობს პარამეტრების ინდივიდუალურ მორგებას და მონაცემების საჯარო წვდომაზე კონტროლის შესაბამისი დონის არჩევას.

- *ისეთი სენსიტიური მონაცემების გაძლიერებული დაცვა,* როგორიცაა ბიომეტრული მონაცემები, ან სახის ამოცნობის გზით წვდომა, რაც არ უნდა იყოს აქტივიზირებული დეფოლტით;

- *მონაცემთა დაცვა მომხმარებლის პერსონალური მონაცემებისადმი მესამე მხარის არაავტორიზირებული წვდომის შეზღუდვის მიზნით,* მათ შორის მონაცემთა უწყვეტი დაცვა მომხმარებელსა და სოციალურ ქსელს შორის კომუნიკაციის შიფრირების გზით. მომხმარებლები ინფორმირებული უნდა იყვნენ მათი პირადი მონაცემების კონფიდენციალურობის დარღვევის თაობაზე, რათა ისეთი პრევენციული ზომების გატარება შეძლონ, როგორიცაა თავისი პაროლის გამოცვლა, საკუთარი ფინანსური ტრანსაქციების ყურადღებით შემოწმება (მაგალითად, როდესაც სოციალურ ქსელებს ბანკის, ან საკრედიტო ბარათის შესახებ ინფორმაცია გააჩნიათ);

- *კონფიდენციალურობის გათვალისწინება ქსელის მთელს დიზაინში,* რაც გულისხმობს მონაცემთა დაცვის საჭიროებების გათვალისწინებას სერვისების, ან პროდუქტის კონცეფციის ჩანაფიქრის ეტაპიდან მოყოლებული და შემდგომ, და სერვისებში ცლილებების შეტანის პარალელურად კონფიდენციალურობაზე ამ ცვლილებების ზეგავლენის რეგულარული შეფასება;

- *სოციალური ქსელების არა-მომხმარებლების დაცვა* მათი პირადი მონაცემების, მაგალითად ელექტრონული ფოსტისა და ბიომეტრული მონაცემების შეგროვებისა და დამუშავებისგან თავის შეკავების გზით. მომხმარებლებს ინფორმაცია უნდა მიეწოდოთ მათი ვალდებულებების თაობაზე სხვა პირების მიმართ, კერძოდ კი იმის შესახებ, რომ სხვა პირებთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების გამოქვეყნება ამ პირების უფლებების პატივისცემასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაცვით უნდა მოხდეს.[65]

77. სოციალური ქსელის აბონენტის ანგარიშის გაუქმებამდე, მას საკუთარი მონაცემების სხვა სერვისებსა ან მოწყობილობებზე შეუფერხებლად გადატანის საშუალება უნდა ჰქონდეს ისეთ ფორმატში, რომელიც ამ მონაცემებით სარგებლობის საშუალებას იძლევა. ანგარიშის გაუქმების შემდეგ, მომხმარებლის შესახებ არსებული ყველა მონაცემები სამუდამოდ უნდა წაიშალოს სოციალური ქსელის მონაცემთა შენახვის სივრციდან. გარდა ამისა, ინტერნეტ მომხმარებლებს ინფორმირებული არჩევანის საშუალება უნდა ჰქონდეთ მათ ონლაინ ვინაობასთან, მათ შორის ფსევდონიმის შერჩევასთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ სოციალური ქსელი რეალური ვინაობით დარეგისტრირებას მოითხოვს, მომხმარებელმა თავად უნდა მიიღოს გადაწყვეტილება იმის თაობაზე, გასაჯაროვდეს თუ არა მისი ვინაობა. ეს არ ზღუდავს სამართალდამცავი ორგანოების უფლებას საჭიროების შემთხვევაში მიიღონ ინფორმაცია მომხმარებლის რეალური ვინაობის თაობაზე, ადამიანის

65. იქვე.

ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემის უზრუნველყოფის მიზნით არსებული სამართლებრივი გარანტიების დაცვის პირობით.

78. პროფილების შედგენის კონტექსტში, მომხმარებელს უფლება უნდა ჰქონდეს შეეწინააღმდეგოს მისი პერსონალური მონაცემების გამოყენებას პროფილის შედგენის მიზნით, და ასევე გადაწყვეტილებებს, რომლებიც მხოლოდ პროფილის საფუძველზეა მიღებული და რომლებსაც მომხმარებლისთვის სამართლებრივი შედეგები მოჰყვება, ან მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენენ მასზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს კანონითაა გათვალისწინებული, რომელშიც ასახულია მომხმარებლის კანონიერი ინტერესების დაცვაზე მიმართული მექანიზმები, კერძოდ, მომხმარებლის მიერ თავისი პოზიციის გამოხატვის შესაძლებლობა, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ გადაწყვეტილება კონტრაქტის შესრულების პროცესში იყო მიღებული და იმ პირობით, რომ ინტერნეტ მომხმარებლის კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები არსებობს.[66]

79. ინტერნეტ მომხმარებლის უფლებები არ არის აბსოლუტური, შესაბამისად, სწორედ ამის გამო არის გამოყენებული სიტყვა „ზოგადად“ მესამე ქვეპარაგრაფში. კონვენციის მოთხოვნებიდან გადახვევა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამგვარ გადახვევას ითვალისწინებს კანონმდებლობა და ეს ღონისძიება აუცილებელია დემოკრატიული საზოგადოებისათვის შემდეგი ინტერესებიდან გამომდინარე: ა) სახელმწიფოებრივი უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის, სახელმწიფოს მონეტარული ინტერესების ან სისხლის სამართლებრივ დანაშაულთან ბრძოლის მიზნით; ინფორმაციის ობიექტებისა და სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მიზნით. ბ) ინფორმაციის ობიექტებისა და სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მიზნით. უფლებების განხორციელებაში არსებული შეზღუდვები შეიძლება გათვალისწინებული იყოს კანონმდებლობაში, რომელიც შეეხება სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისათვის გამოყენებულ პერსონალური ინფორმაციის ავტომატიზირებულ ფაილებს იმ შემთხვევაში, თუ აშკარაა ინფორმაციის სუბიექტების კონფიდენციალობის დარღვევის რისკის არარსებობა.[67]

80. მონაცემთა ხელში ჩაგდება გულისხმობს კომუნიკაციის შინაარსის გაგებას მიყურადების, მონიტორინგის ან თვალთვალის გზით კომპიუტერული სისტემების მეშვეობით, ან მონაცემთა შინაარსის წვდომას და გამოყენებას. არაპირდაპირი გზით ელექტრონული მიყურადების ან მოსასმენი საშუალებების გამოყენებით. მონაცემთა ხელში ჩაგდება შეიძლება ასევე აუდიოჩანაწერების წარმოების გზით განხორციელდეს.[68] კორესპონდენციისა და კომუნიკაციის კონფიდენციალურობის უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით არის გარანტირებული და სასამართლოს მიერ განმარტებული პრეცედენტულ სამართალში. კორესპონდენციის ცნება ასევე მოიცავს საფოსტო კომუნიკაციას და ტელეკომუნიკაციას,[69] ისევე როგორც სამსახურეობრივ კონტექსტში გაგზავნილ

66. მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2010)13 წევრი სახელმწიფოებისათვის პერსონალური მონაცემების ავტომატური გზით დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ პროფილების შედგენის კონტექსტში, ნაწილი 5.
67. 108-ე კონვენცია, მუხლი 9.
68. ბუდაპეშტის კონვენციის განმარტებითი ანგარიში, პარ. 53.
69. ევროპაში ინტეგრირების და ადამიანის უფლებების ასოციაცია და ეხმიჯიევი ბულგარეთის წინააღმდეგ, no. 62540/00 § 58; კლასი და სხვები გერმანიის წინააღმდეგ, no 5029/71, მალოუნი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, no 8691/79 და ვებერი და სარავია გერმანიის წინააღმდეგ, no 54934/00.

ელექტრონულ ფოსტას.[70] ნავარაუდევია, რომ მოცემული ცნების ინტერპრეტაცია გადაისინჯება და დაიხვეწება ტექნოლოგიური პროგრესის კვალდაკვალ, რის შედეგადაც შეიძლება ინტერნეტით კომუნიკაციის სხვა ფორმები გაჩნდეს, მაგალითად, ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი შეტყობინებები (ფართო მნიშვნელობით), ან ტექსტუალური შეტყობინებები, რაზეც კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული დაცვა გავრცელდება.

81. ქვემოთ მოცემულია ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში ასახული პრინციპები არა-ინტერნეტთან დაკავშირებულ საქმეებზე მონაცემების ხელში ჩაგდებისა და კომუნიკაციაზე მიყურადების, ასევე საჯარო ხელისუფლების მიერ ჩარევის შემთხვევებთან დაკავშირებული საქმეები. ამ პრინციპებს ინტერნეტით კომუნიკაციასთან დაკავშირებით ზოგადი ხელმძღვანელობის და სარეფერენციო სტანდარტების დანიშნულება გააჩნიათ.

82. კორესპონდენციის და ტელეკომუნიკაციის მიყურადება და ხელში ჩაგდება პირადი ცხოვრების უფლების დარღვევაა და ასეთ შემთხვევებზე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის მე-2 პარაგრაფში ასახული პირობები ვრცელდება. თავად ისეთი კანონმდებლობის არსებობა, რომელიც ტელეკომუნიკაციის მიყურადებასა და მონიტორინგს უშვებს, შეიძლება პირად ცხოვრებაში ჩარევად იყოს მიჩნეული. კანონი, რომელიც უშვებს მიყურადებასა და მონიტორინგს, რომლის საფუძველზეც ქვეყნის ნებისმიერი მოქალაქის ელექტრონული ფოსტა და ტელეკომუნიკაციები შეიძლება მონიტორინგს დაექვემდებაროს, პირდაპირ ზეგავლენას ახდენს საფოსტო და სატელეეკომუნიკაციო სერვისების ყველა არსებულ ან პოტენციურ მომხმარებელზე. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ გარკვეულ გარემოებებში პირმა შეიძლება ამტკიცოს, რომ თავად ის ფაქტი, რომ კანონი ფარულ მიყურადებას უშვებს, მისი უფლებების დარღვევას წაროადგენს და მას არა აქვს ვალდებულება მოიყვანოს იმის დამადასტურებელი მკიცებულებები, რომ ასეთი ღონისძიებები კონკრეტულად მის მიმართ იყო გატარებული.[71]

83. მიყურადება და მონიტორინგი მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში უნდა იყოს დაშვებული და აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის, უწესრიგობის ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობის ან მორალის, თუ სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად, როგორც ამას კონვენციის მე-8 მუხლი მოითხოვს. სასამართლომ შემდეგი ზოგადი პრინციპები შეიმუშავა რომელთა შესაბამისადაც კანონი, რომელიც საჯარო ხელისუფლების მიერ კორესპონდენციის და კომუნიკაციების ფარული მიყურადების და თვალთვალის ღონისძიებებს ადგენს, შემდეგ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს:

- *განჭვრეტადობა* – კანონი მისაწვდომი უნდა იყოს დაინტერესებული პირისთვის, და მას უნდა შეეძლოს ამ კანონის მის მიმართ გავრცელების შედეგების გან-

70. იხილეთ კოპლანდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, no 62617/00.
71. კლასი და სხვები, no 5029/71 §§ 30 38; მალოუნი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, no 8691/79§ 64; ვებერი და სარავია გერმანიის წინააღმდეგ, no. 54934/00, §§ 78 და 79, ევროპაში ინტეგრირების და ადამიანის უფლებების ასოციაცია და ეხმიჯიევი ბულგარეთის წინააღმდეგ, no. 62540/00 § 58, § 69-70.

ჭვრეტა. კანონი ნათლად და გასაგებად უნდა იყოს ჩამოყალიბებული, რათა მოქალაქეებს ნათელი წარმოდგენა შეექმნათ იმ პირობებისა და გარემოებების თაობაზე, როდესაც ხელისუფლებას უფლება აქვს მიმართოს ფარულ, და პოტენციურად პირადი ცხოვრებისა და კორესპონდენციის უფლების შემლახველ ღონისძიებებს.[72]

- *პოლიტიკური ხელისუფლების მიერ დისკრეციული უფლებამოსილებით სარგებლობის შემთხვევებში მინიმალური დამცავი მექანიზმების არსებობა* – კანონში დეტალური დებულებები უნდა არსებობდეს შემდეგთან დაკავშირებით: (i) დანაშაულის ხასიათის თაობაზე, რის გამოც შეიძლება მიეყრადების ორდერი გაიცეს; (ii) ადამიანების იმ კატეგორიების განსაზღვრა, რომელთა კომუნიკაცია მონიტორინგს უნდა დაექვემდებაროს; (iii) მონიტორინგის ხანგრძლივობის განსაზღვრა; (iv) მიღებული მონაცემების შესწავლის, გამოყენებისა და შენახვის პროცედურები; და (v) უსაფრთხოების ზომები, რაც გატარებული უნდა იყოს ამ მონაცემების სხვა პირებისათვის გადაცემის შემთხვევაში, და გარემოებები, რომელთა შემთხვევაში მონაცემები წაშლილი, ან ჩანაწერები განადგურებული უნდა იყოს.[73]

- *კომპეტენტური ორგანოს მიერ ზედამხედველობა და გადასინჯვა* – სასამართლო მოითხოვს, რომ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ ეფექტური და ადეკვატური გარანტიები უნდა არსებობდეს.[74]

84. სასამართლომ თავის პრეცედენტულ სამართალში სამუშაო ადგილას პირადი ცხოვრების უფლების პატივისცემის თაობაზე ხაზი გაუსვა, რომ დასაქმებულის მიერ სამუშაო ადგილიდან გაკეთებულ სატელეფონო ზარებზე ასევე ვრცელდება პირადი ცხოვრებისა და კორესპონდენციის კონფიდენციალურობის პატივისცემასთან დაკავშირებული მოთხოვნები. სამუშაო ადგილიდან გაგზავნილი ელექტრონული კორესპონდენცია, და ინტერნეტის პირადი კომუნიკაციის მიზნებში გამოყენება დაცული უნდა იყოს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით. იმ შემთხვევაში, თუ დასაქმებული პირი არ იყო გაფრთხილებული იმის თაობაზე, რომ ეს მონიტორინგს დაექვემდებარება, მას ლეგიტიმური მოლოდინი აქვს, რომ მისი პირადი ცხოვრების პატივისცემა იქნება უზრუნველყოფილი სამუშაო ადგილზე სატელეფონო ზარების, ელექტრონული ფოსტის და ინტერნეტის გამოყენების კონტექსტში.[75] მომხმარებელს დახმარება უნდა გაუწიონ წევრი სახელმწიფოების მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელმა სტრუქტურებმა, ან სხვა კომპეტენტურმა სახელმწიფო ორგანოებმა.

---

72. მალოუნი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, no 8691/79 § 67; ვალენსუელა კონტრერასი ესპანეთის წინააღმდეგ, 1998 წლის 30 ივლისის განჩინება, ანგარიშები 1998 V, გვ. 1925, § 46 (iii); და ხანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, no.35394/97, § 26, ევროპაში ინტეგრირების და ადამიანის უფლებების ასოციაცია და ეხმიჯიევი ბულგარეთის წინააღმდეგ, no. 62540/00, §71.
73. იხილეთ კრუსლინი საფრანგეთის წინააღმდეგ, no. 11801/85 § 33; ჰოუვიგი საფრანგეთის წინააღმდეგ, no 11105/84 § 32; ამანი შვეიცარიის წინააღმდეგ, no 27798/95 § 56; ვებერი და სარავია გერმანიის წინააღმდეგ, no 54934/00§ 93; ევროპაში ინტეგრირების და ადამიანის უფლებების ასოციაცია და ეხმიჯიევი ბულგარეთის წინააღმდეგ, no. 62540/00 § 76.
74. Ibid., no. 62540/00) § 77.
75. კოპლენდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, no 62617/00, §41, 42.

85. მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურები, რომლებიც წევრი სახელმწიფოების უმეტესობაში არსებობს, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ პერსონალური მონაცემების დამუშავების კონტექსტში უფლებებში ჩარევის შემთხვევების გამოძიებაში, აღკვეთაში, მომხმარებელთა ინფორმირებულობის ამაღლებაში, ან უფლებების დარღვევის შემთხვევების სხვა გზებით გამოსწორებაში. აღსანიშნავია, რომ უმთავრესი როლი პერსონალური მონაცემების, პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლებების დაცვაში სახელმწიფოს ეკისრება.

განათლება და წიგნიერება

86. განათლების უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი ოქმის მე-2 მუხლითაა დაცული. წევრი სახელმწიფოებისათვის ინტერნეტის საჯარო მომსახურების ღირებულების გაზრდაზე მიმართული ღონისძიებების ხელშეწყობის თაობაზე მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2007)16 მხარეებს მოუწოდებს საგანმანათლებლო, კულტურული და სამეცნიერო კონტენტი ციფრულ ფორმატში შექმნან და უზრუნველყონ მომხმარებლების ამ კონტენტზე წვდომა, რათა ცალკეული კულტურის წარმომადგენლებს სხვადასხვა ენაზე, მათ შორის მკვიდრი მოსახლეობის ენაზე თვითგამოხატვისა და ინტერნეტზე წვდომის საშუალება ჰქონდეთ.[76] ინტერნეტ მომხმარებლებისთვის თავისუფლად უნდა იყოს მისაწვდომი სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული კვლევები და კულტურის სფეროს ნაწარმოებები, რომლებიც ინტერნეტზეა გამოქვეყნებული.[77] ციფრულ ფორმატში არსებული კულტურული მემკვიდრეობის მასალები, რომლებიც საჯარო დომეინზეა განთავსებული, ასევე თავისუფლად უნდა იყოს ხელმისაწვდომი გონივრული შეზღუდვების გათვალისწინებით. ცოდნის წვდომასთან დაკავშირებით გარკვეული პირობებისა და შეზღუდვების არსებობა ნებადართულია იმ შემთხვევებში, როდესაც საქმე ინტელექტუალური საკუთრების უფლების მარეგულირებელი კანონმდებლობით დაშვებული გამონაკლისების გათვალისწინებით საავტორო უფლებების მქონე პირების მიერ ნაშრომისთვის ჰონორარის მიღებას ეხება.

87. ინტერნეტ მომხმარებლებისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს საბაზისო ცოდნა და განათლება, რათა ინტერნეტ სივრცეში საკუთარი უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობის საშუალება ჰქონდეთ. ეს შესაბამისობაშია ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის კომპიუტერული წიგნიერების ხელშეწყობაზე მიმართულ სტანდარტებთან, რაც საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით ინფორმაციის წვდომის, კულტურული უფლებებისა და განათლების უფლების რეალიზაციის წინაპირობაა.[78]

88. ინტერნეტ წიგნიერების პროგრამები და ინიციატივები ინტერნეტ მომხმარებლებს საშუალებას აძლევს კრიტიკულად გააანალიზონ ინტერნეტ კონტენტის სანდოობა და სიზუსტე. მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის შესაბამისად ევროპის საბჭოს წევრმა სახელმწიფოებმა განათლების ხელშეწყობის მიზნით საინფორმაციო-საკომუნიკაციო მოწყობილობებზე წვდომას ხელი უნდა შეუწყონ, რათა ადამიანებმა, განსაკუთრებით კი ბავშვებმა საინფორმაციო-საკომუნიკაციო

76. იხილეთ ზემოთ მე-8 სქოლიო, CM/Rec(2007)16 ნაწილი IV.
77. იქვე.
78. მინისტრთა კომიტეტის დეკლარაცია ადამიანის უფლებებსა და კანონის უზენაესობაზე საინფორმაციო საზოგადოებაში, CM(2005)56, 2005 წლის 13 მაისის საბოლოო რედაქციით.

ტექნოლოგიების ფართო შესაძლებლობების გამოყენებისთვის საჭირო უნარები შეიძინონ და კრიტიკულად შეაფასონ ინფორმაციის ხარისხი, განსაკუთრებით კი ისეთი ინფორმაცია, რომელიც შეიძლება საზიანო იყოს მათთვის.[79]

ბავშვები და ახალგაზრდები

89. ბავშვებს და ახალგაზრდებს უფლება აქვთ ინტერნეტისა და სხვა საინ-ფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით გამოხატონ საკუთა-რი აზრები, მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში და გადაწყვე-ტილებების მიღებაში, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ მათზე. ეს მინისტრთა კომიტეტის სტანდარტებზე დაყრდნობით განისაზღვრა, რომელთა შესაბამისადაც 18 წლამდე ყველა ბავშვს და მოზარდს უფლება, საშუალება, სივრცე, და საჭიროების შემთხვევაში, მხარდაჭერა უნდა ჰქონდეთ, რომ საკუთარი აზრი გამოხატონ, წვლილი შეიტანონ გადაწტვეტილებების მიღებაში, რომლებიც ზე-გავლენას ახდენენ მათზე და მათი აზრი გათვალისწინებული უნდა იყოს ასაკისა და სიმწიფის დონის შესაბამისად. ბავშვებისა და ახალგაზრდების საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება სრულად ვრცელდება ინტერნეტ გარემოზე რასობრივი ან ეთნიკური კუთვნილების, კანის ფერის, სქესის, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე.[80]

90. ბავშვებს და მოზარდებს მათი ასაკისა და სიმწიფის შესაბამისი ინფორმაცია უნდა მიეწოდოთ, მათ შორის სოციალური ქსელებისა და სხვა მედიის საშუალებით, მათი უფლებების რეალიზაციის შესაძლებლობების თაობაზე. ისინი სრულად უნდა იყვნენ ინფორმირებული მათი მონაწილეობის მოცულობის, ამასთან დაკავშირებული შეზღუდვების, მოსალოდნელი და რეალური შედეგების, და იმის თაობაზე, თუ როგორ იქნება გათვალისწინებული მათი მოსაზრებები.[81] თუ ისინი მიიჩნევენ, რომ მათი მონაწილეობის უფლება დაირღვა, ისინი უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ ამ მდგომარეობის გამოსწორებაზე მიმართული ეფექტური საშუალებებით, კერძოდ, კი ბავშვის საჭიროებებზე მორგებული გასაჩივრების მექანიზმებითა და სასამართლო და ადმინისტრაციული პროცედურებით, ასევე ამ მექანიზმებით სარგებლობის პროცესში შესაბამისი მხარდაჭერითა და დახმარებით.[82]

91. ბავშვებს და ახალგაზრდა მომხმარებლებს ინტერნეტით უსაფრთხოდ და მათი პირადი ცხოვრების დაცვის გარანტიით სარგებლობის საშუალება უნდა ჰქონდეთ. მათ შესაბამისი ინფორმაცია უნდა მიეწოდოთ და ტრეინინგი ჩაუტარდეთ მასწავლებლების, აღმზრდელების და მშობლების მიერ. საინფორმაციო წიგნიერება ინფორმაციის წვდომისთვის დოკუმენტების ფლობას გულისხმობს, კონტენტის კრიტიკული ანალიზის უნარების კომუნიკაციის უნარების განვითარებისთვის, სამოქალაქო შეგნების ჩამოყალიბებისა და კრეატიულობის განვითარებისთვის.

79. იქვე
80. მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2012)2 წევრი სახელმწიფოებისათვის 18 წლამდე ასაკის ბავშვებისა და მოზარდების მონაწილეობის შესახებ.
81. იქვე.
82. იხილეთ მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM Rec(2011)12 წევრი სახელმწიფოებისათვის ბავშვთა უფლებებისა და ბავშვებისა და ოჯახების საჭიროებებზე მორგებული სოციალური სერვისების შესახებ, ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო დირეტქივები ბავშვზე ორიენტირებული მართლმსაჯულების თაობაზე.

გარდა ამისა, უნდა ხორციელდებოდეს ტრეინინგ ინიციატივები ბავშვებისა და აღმზრდელებისთვის, რათა მათ შეეძლოთ ინტერნეტისა და საკომუნიკაციო ტექ-ნოლოგიების პოზიტიური და პასუხისმგებელი გზით გამოყენება.[83]

92. სასამართლომ არაერთგზის იმსჯელა ბავშვთა პირადი ცხოვრების უფლებასთან დაკავშირებულ საქმეებზე. ბავშვთა ფიზიკური და მორალური კეთილდღეობა მათი პირადი ცხოვრების უფლების უმნიშვნელოვანესი ასპექტებია. წევრ სახელმწიფოებს პოზიტიური ვალდებულება ეკისრებათ უზრუნველყონ ბავშვთა უფლებების ეფექტური დაცვა.[84] სასამართლოს მიაჩნია, რომ ფუნდამენტალური ღირებულებებისა და პირადი ცხოვრების უფლების მნიშვნელოვანი ასპექტების უგულებელყოფის და დარღვევების შემთხვევების ეფექტური აღმოფხვრის მიზნით საჭიროა შესაბამისი დებულებები იყოს გათვალისწინებული სისხლის სამართლის კანონმდებლობაში და ეს შემთხვევები ეფექტურად იყოს გამოძიებული.[85]

93. მნიშვნელოვანია გვესმოდეს, რომ კონტენტი, რომელსაც ბავშვები და ახალ-გაზრდები ქმნიან, ან ინტერნეტის მეშვეობით იყენებენ, ან სხვების მიერ შექმნილი კონტენტი (მაგ. სურათები, ვიდეოები, ტექსტები ან სხვა კონტენტი), ასევე ამ კონტენტის კვალი (ჩანაწერები, ლოგები, დამუშავების შედეგები) შეიძლება დიდი ხნის განმავლობაში ინახებოდეს ინტერნეტ სივრცეში, ან მუდმივად იყოს მისაწვდომი. ამან შეიძლება გამოიწვიოს ბავშვის ან მოზარდის ღირსების შელახვა, პირადი ცხოვრებისა და უსაფრთხოების ხელყოფა, ან დაარღვიოს მათი უფლებები ცხოვრების მიმდინარე, ან მომავალ ეტაპზე. ბავშვებს და ახალგაზრდებს, ასევე მათ მშობლებს, მასწავლებლებს და მეურვეებს უნდა ესმოდეთ ეს რეალობა და უნდა იცოდნენ, თუ როგორ დაიცვან საკუთარი პირადი ცხოვრება ონლაინ გარემოში. ამასთან დაკავშირებით, უაღრესად მნიშვნელოვანია პრაქტიკული რჩევების მიწოდება იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა წაიშალოს პერსონალური ინფორმაცია. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა რეკომენდაციები მიაწოდა წევრ სახელმწიფოებს ამასთან დაკავშირებით, სადაც აღნიშნულია, რომ ბავშვების მიერ ინტერნეტით შექმნილი კონტენტი, რომელიც შეიძლება მათი ღირსების, უსაფრთხოების ან პირადი ცხოვრების შემლახველი გახდეს, ან სხვა მხრივ დაუცველი გახადოს ისინი ცხოვრების მინდინარე ან მოავალ ეტაპზე, არ უნდა იყოს შენახული, ან მუდმივად ხელმისაწვდომი, გარდა სამართალდამცავი მიზნებისა.[86] წევრ სახელმწიფოებს მოეწოდათ ერთობლივად, და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით, შეისწავლონ ასეთი კონტენტის, და მისი კვალის იდენტიფიცირებისა და ამოღების შესაძლებლობა (ლოგები, ჩანაწერები და დამუშავების შედგები) შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში.[87] აღსანიშნავია, რომ მე-3 ქვეპარაგრაფი არ ვრცელდება ბავშვების ან მოზარდების შესახებ პრესის ან გამომცემლობების მიერ შექმნილ კონტენტზე. სახელმძღვანელოს ამ დებულების პირველი წინადადება აკონკრეტებს, რომ იგი ვრცელდება ბავშვების ან ახალგაზრდების, ასევე სხვა მომხმარებლების მიერ მათზე შექმნილ კონტენტზე.

---

83. მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2006)12 წევრი სახელმწიფოებისათვის ბავშვთა უფლება-მოსილების გაზრდაზე ახალ საინფორმაციო და საკომუნიკაციო გარემოში.
84. კ.უ. ფინეთის წინააღმდეგ, 2872/02 § 40, 41.
85. X და Y ნიდერლანდების წინააღმდეგ, §§ 23-24; აუგუსტი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, no. 36505/02; მ.ს. ბულგარეთის წინააღმდეგ, no. 39272/98, § 150. კ.უ. ფინეთის წინააღმდეგ, no 2872/02 § 46.
86. მინისტრთა კომიტეტის დეკლარაცია ინტერნეტის კონტექსტში ბავშვთა ღირსების, უსაფრთხოებისა და პირადი ცხოვრების დაცვის შესახებ.
87. იქვე.

94. რაც შეეხება ონლაინ სივრცეში საზიანო ქცევას და კონტენტს, ბავშვებისთვის მათი ასაკისა და გარემოებების შესაბამისი განსაკუთრებული დაცვა და დახმარება უნდა იყოს მისაწვდომი, განსაკუთრებით ისეთ რისკებსა და საფრთხეებთან დაკავშირებით, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას ინტერნეტ პორნოგრაფიის, ქალების დამამცირებელი და სტერეოტიპული წარმოჩენის, ძალადობის და თვითდაზიანების გამოხატულებისა და მისი განდიდების, განსაკუთრებით კი თვითმკვლელობის, დამამცირებელი, დისკრიმინაციული ან რასისტული გამოხატულების, ასეთი ქცევის აპოლოგიის, სექსუალური ძალადობის მიზნებში ადევნების, ბავშვთა ტრეფიკინგის, დაშინების, დაჩაგვრის ან ძალადობის სხვა ფორმების შედეგად, რამაც შეიძლება უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს ბავშვთა ფიზიკურ, ემოციონალურ და ფსიქოლოგიურ კეთილდღეობაზე.[88] შესაბამისად, ბავშვები და მოზარდები მათი ასაკისათვის და გარემოებებისათვის შესაფერისი სახით ინფორმირებულები უნდა იყონ უკანონო კონტენტისა და ქცევის სახეების თაობაზე.

95. ბავშვებს და მოზარდებს საშუალება უნდა ჰქონდეთ განაცხადონ იმ კონტენტისა და ქცევის თაობაზე, რომელიც მათთვის შეიძლება ზიანის მომტანი იყოს, და ასევე უფლება აქვთ მიიღონ რჩევა და მხარდაჭერა მათი კონფიდენციალურობისა და ანონიმურობის დაცვით. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოციალური ქსელების კონტექსტში. მინისტრთა კომიტეტმა რეკომენდაცია მიაწოდა წევრ სახელმწიფოებს გაატარონ შესაბამისი ღონისძიებები ბავშვთა და მოზარდთა საზიანო კონტენტისგან დაცვის მიზნით შემდეგი ღონისძიებების გატარების გზით:[89]

- ინფორმაციის მიწოდება ისეთი კონტენტის, კონტენტის გაზიარების, ან ქცევის თაობაზე, რომელიც შეიძლება წინააღმდეგობაში იყოს შესაბამის საკანონმდებლო დებულებებთან;

- სარედაქციო პოლიტიკის შემუშავება, რათა სოციალური ქსელებით სარგებლობის პირობებსა და მოთხოვნებში გარკვეული კონტენტი და ქცევა განისაზღვროს როგორც „მიუღებელი“ და იმის უზრუნველყოფა, რომ მოცემული მიდგომა არ ზღუდავს გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლებას;

- ადვილად ხელმისაწვდომი მექანიზმების შექმნა სოციალურ ქსელებში უხამსი ან აშკარად უკანონო კონტენტის ან ქცევის თაობაზე განცხადების მიზნით;

- სათანადო რეაგირება კიბერ-დაშინებისა და კიბერ-ადევნების შესახებ საჩივრებზე.[90]

96. ბავშვები და ახალგაზრდა მომხმარებლები ასევე ინფორმირებულები უნდა იყონ ონლაინ გარემოში მათი ფიზიკური და მორალური კეთილდღეობის, სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობის თვალსაზრისით არსებული რისკების თაობაზე, რისგანაც ისინი განსაკუთრებულ დაცვას საჭიროებენ. ეს ასახულია ევროპის

88. მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2009)5 წევრი სახელმწიფოებისათვის ბავშვთა საზიანო კონტენტისა და ქცევისგან დაცვისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო გარემოში მათი აქტიური მონაწილეობის ხელშეწყობაზე მიმართული ღონისძიებების შესახებ.
89. იხილეთ CM/Rec(2012)4 , დანართი, II, §10.
90. იქვე.

საბჭოს ლანსაროტის კონვენციაში და ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში, რომლის შესაბამისადაც სახელმწიფოებს პოზიტიური ვალდებულება ეკისრებათ უზრუნველყონ ბავშვების დაცვა ონლაინ გარემოში.[91]

97. ლანსაროტის კონვენციის შესაბამისად ბავშვები დაცული უნდა იყონ მათი ჩაბმისგან პორნოგრაფიულ წარმოდგენებში, ან იძულებისგან ამგვარ წარმოდგენებში მონაწილეობის მისაღებად, რაც მისაწვდომია და განთავსებულია ინტერნეტში (მაგალითად, ვებ-კამებრების, ჩატის ან ონლაინ თამაშების მეშვეობით).[92] ბავშვები ასევე დაცული უნდა იყონ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით გაკეთებული იმგვარი განზრახი შეთავაზებისაგან, რომელიც გულისხმობს ბავშვის დაყოლიებას სექსუალურ ქმედებებში მონაწილეობაზე, რომელსაც ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისი დებულებების მიხედვით ჯერ არ შესრულებია ასაკი, როდესაც მისი სექსუალური აქტივობა კანონიერად იქნებოდა მიჩნეული, და როდესაც ასეთი ქმედებები ბავშვთა პორნოგრაფიის დამზადებას ისახავს მიზნად.[93]

98. ხელი უნდა შეეწყოს ბავშვების მონაწილეობას, მათი განვითარების დონის შესაბამისად, სახელმწიფო სტრატეგიების, პროგრამების ან სხვა ინიციატივების შემუშავებასა და განხორციელებაში, რომლებიც შეეხება ინტერნეტ გარემოში ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლას.[94] სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ და მხარი დაუჭირონ ისეთი საინფორმაციო სამსახურების შექმნას, როგორიცაა სატელეფონო ან ინტერნეტ საკონსულტაციო მომსახურება, რომელთა გამოყენებითაც შესაძლებელი იქნება ინტერნეტის მეშვეობით სექსუალური ძალადობისა და ექსპლუატაციის თაობაზე განცხადება და საჩივრების წარდგენა სათანადო კონფიდენციალურობისა და ანონიმურობის დაცვით.[95]

სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალებები

99. სამართლებრივი დაცვის ეფექტურ საშუალებებზე წვდომის უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-13 მუხლითაა გარანტირებული. ყველას, ვისი უფლებები და თავისუფლებები ინტერნეტით სარგებლობისას შეიზღუდა, სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალებებზე წვდომის უფლება აქვს.

100. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-13 მუხლი ადგენს, რომ კონვენციით დაცული უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის შემთხვევაში, დამოუკიდებლად იმისა, თუ რა ფორმით მოხდა ასეთი დარღვევა, გარანტირებული უნდა იყოს ეროვნულ დონეზე სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალებების არსებობა. კონვენცია მოითხოვს, რომ ეროვნულ დონეზე არსებული

91. კ.უ. ფინეთის წინააღმდეგ, no. 2872/02.
92. ევროპის საბჭოს კონვენცია სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ, CETS No.: 201, მუხლი 2; მუხლი 21, ასევე იხილეთ განმარტებები ამ მუხლებისადმი.
93. იქვე, მუხლი 23.
94. იქვე, მუხლი 9/1.
95. იქვე, მუხლი 13. ასევე იხილეთ მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2011)12 წევრი სახელმწიფოებისათვის ბავშვთა უფლებებისა და ბავშვებისა და ოჯახების საჭიროებებზე მორგებული სოციალური სერვისების შესახებ, ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო დირეტქივები ბავშვზე ორიენტირებული მართლმსაჯულების თაობაზე.

სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალებები საჩივრის არსის შესწავლასა და დარღვევის გამოსწორებაზე მიმართულ ღონისძიებებს უნდა ითვალისწინებდნენ.[96] სახელმწიფოებს პოზიტიური ვალდებულება ეკისრებათ ეფექტურად და გულდასმით გამოიძიონ ადამიანის უფლებების დარღვევის შემთხვევები. დადგენილმა პროცედურებმა საშუალება უნდა მისცენ კომპეტენტურ ორგანოებს გადაწყვეტილება მიიღონ საჩივრის არსებით მხარესთან დაკავშირებით, რომელიც კონვენციის სავარაუდო დარღვევას შეეხება, შესაბამისი სანქციები დააკისრონ და უზრუნველყონ გადაწყვეტილების აღსრულება.[97]

101. ეროვნულ დონეზე უნდა არსებობდეს ორგანო, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სავარაუდო დარღვევების თაობაზე გადაწყვეტილებების მიღებაზე.[98] უნდა არსებობდეს სამართლებრივი მექანიზმი, რომლისადმი მიმართვა ყველა პირს შეუძლია მისი უფლებების სავარაუდო დრღვევის თაობაზე სამართალწარმოების გაჭიანურების შესახებ საჩივრით.[99] არ არის სავალდებულო, რომ ასეთი ორგანო სასამართლო ორგანო იყოს, იმ პირობით, რომ იგი დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის გარანტიას უზრუნველყოფს. ამ ორგანოს უფლებამოსილება უნდა გააჩნდეს და შესაბამისი პროცედურული გარანტიები უნდა არსებობდეს, რომ მან გადაწყვეტილება მიიღოს სამართლებრივი დაცვის საშუალებების ეფექტურობის თაობაზე. [100]

102. კომპეტენტური ეროვნული ორგანოს მიერ დაცული პროცედურა დარღვევის ეფექტური გამოძიების საშუალებას უნდა იძლეოდეს. იგი ასევე საშუალებას უნდა აძლევდეს ამ ორგანოს კონვენციის სავარაუდო დარღვევის თაობაზე საჩივრის არსებით მხარეზე მიიღოს გადაწყვეტილება,[101] შესაბამისი სანქციები დააკისროს დამრღვევ მხარეს, და გარანტია მისცეს დაზარალებულ მხარეს, რომ გადაწყვეტილება აღსრულებული იქნება.[102] სამართლებრივი დაცვის საშუალება ეფექტური უნდა იყოს როგორც კანონის, ასევე მისი პრაქტიკაში აღსრულების თვალსაზრისით, და მისი ეფექტიანობა არ უნდა მოიაზრებოდეს როგორც საქმის მომჩივანის სასარგებლოდ გადაწყვეტის აუცილებლობა.[103] აღსანიშნავია, რომ შესაძლებელია ცალკე აღებულმა სამართლებრივი დაცვის რომელიმე საშუალებამ სრულად არ დააკმაყოფილოს კონვენციის მე-13 მუხლის მოთხოვნები, მაგრამ ასეთი საშუალებების ერთობლიობა ამ მუხლის მოთხოვნებს დააკმაყოფილებდა.[104]

103 სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალებები ხელმისაწვდომი უნდა იყოს როგორც ფინანსურად, ასევე მატერიალურად, და ისინი სამართლიანი დაკმაყოფილების საშუალებას უნდა იძლეოდნენ. სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალებები შეიძლება პირდაპირ ინტერნეტ სერვის პროვაიდერების

96. კაია თურქეთის წინააღმდეგ, no. 22729/93, §106.
97. სმიტი და გრეიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, no 33985/96 33986/96.
98. სილვერი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, no. 5947/72; 6205/73; 7052/75; 7061/75; 7107/75; 7113/75; 7136/75 §113; კაია თურქეთის წინააღმდეგ, no. 22729/93, §106.
99. კუდლა პოლონეთის წინააღმდეგ, no. 30210/96, §157.
100. სილვერი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, no. 5947/72; 6205/73; 7052/75; 7061/75; 7107/75; 7113/75; 7136/75 §113; კაია თურქეთის წინააღმდეგ, no. 22729/93, §106.
101. სმითი და გრეიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, no 33985/96 33986/96, § 138.
102. იატრიდისი საბერძნეთის წინააღმდეგ, no. 31107/96, § 60.
103. კუდლა პოლონეთის წინააღმდეგ, no. 30210/96, §158.
104. სილვერი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, no.5947/72; 6205/73; 7052/75; 7061/75; 7107/75; 7113/75; 7136/75 §113; კუდლა პოლონეთის წინააღმდეგ, no. 30210/96 §157.

(თუმცა შესაძლოა ასეთი მექანიზმები არ იყოს საკმარისად დამოუკიდებელი იმისთვის, რომ კონვენციის მე-13 მუხლის მოთხოვნები დააკმაყოფილოს), საჯარო ხელისუფლების ორგანოების, და/ან ეროვნული ადამიანის უფლებადამცველი ორგანიზაციების მიერ იყოს უზრუნველყოფილი. სამართლებრივი დაცვის ეფექტურ საშუალებებად დარღვევის შეიძლება მოიაზრებოდეს მოკვლევა, სერვის პროვაიდერის მიერ განმარტების მიწოდება, პასუხის გაცემის შესაძლებლობა ცილისმწამებლურ ან შეურაცხმყოფელ განცხდებებზე, სერვის პროვაიდერის მიერ ამოღებული მომხმარებლის კონტენტის აღდგენა, ინტერნეტ-კავშირის აღდგენა, თუ მომხმარებელს ინტერნეტი გაეთიშა და ამასთან დაკავშირებული კომპენსაცია.

104. სახელმწიფოებმა კერძო კომპანიების მიერ კერძო პირების უფლებების დარღვევის აღკვეთასთან დაკავშირებით მათზე დაკისრებული პოზიტიური ვალდებულების ფარგლებში შესაბამისი ზომები უნდა გაატარონ, რათა დაზარალებული მხარისთვის მისაწვდომი გახადონ სასამართლო და არა-სასამართლო მექანიზმები.[105] გაერთიანებული ერების ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად, კომპანიებმა გასაჩივრების მექანიზმები უნდა დანერგონ, რომლებიც ხელმისაწვდომი და განჭვრეტადი (ანუ ნათელ და მარტივ პროცედურებს უნდა ითვალისიწნებდნენ, პროცესის ყოველი ეტაპის ვადების, ამ პროცესების ხასიათის, შესაძლებელი გამოსავალის და აღსრულებაზე მონიტორინგის მკაფიო განსაზღვრით), სამართლიანი (ინფორმაციის წყაროების, რჩევის და საექსპერტო დახმარების მისაწვდომობა) და გამჭვირვალე იქნება, რაც კერძო პირებისთვის ხელმისაწვდომს გახდის უფლებების აღდგენის ეფექტურ საშუალებებს, რომლებიც ადამიანის უფლებების სფეროს საერთაშორისო სტარნდარტებთან სრულ შესაბამისობაში იქნება.[106]

105. ინტერნეტ მომხმარებლებს ნათელ და გასაგებ ფორმაში უნდა მიეწოდოთ ინფორმაცია მათ ხელთ არსებული უფლებების დაცვის მექანიზმების თაობაზე. ეს ინფორმაცია შეიძლება ინტერნეტ ან ონლაინ სერვის პროვაიდერების მომსახურებით სარგებლობის პირობებსა და მოთხოვნებში, ან სხვა ინსტრუქციებსა და პოლიტიკაში იყოს ასახული. ინტერნეტ მომხმარებლები პრაქტიკული და ხელმისაწვდომი ინსტრუმენტებით უნდა იყოს უზრუნველყოფილი, რათა ინტერნეტ და ონლაინ სერვის პროვაიდერებს დაუკავშირდნენ შესაბამისი საკითხების და პრობლემების გადასაწყვეტად. მათ უნდა შეეძლოთ ინფორმაციისა და გამოსწორებაზე მიმართული ღონისძიებების გატარების მოთხოვნა. ინტერნეტ მომხმარებლების უფლებების დაცვაზე მიმართული საშუალებების მაგალითებია ინტერნეტ პროვაიდერების ცხელი ხაზები ან საკონსულტაციო ცენტრები, ან მომხმარებელთა დაცვის ასოციაციები, რომლებსაც მომხმარებლებს შეუძლიათ მიმართონ მათი ან სხვა პირების ადამიანის უფლებების დარღვევის შემთხვევებში. საჯარო ხელისუფლებამ, ადამიანის უფლებების დამცველმა ეროვნულმა ინსტიტუტებმა (მაგალითად, ომბუდსმენის ოფისი), მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელმა სააგენტოებმა, მოქალაქეთა კონსულტაციის

105. ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებით კორპორატიულ სოციალურ პასუხისგებლობასა და სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებებთან დაკავშირებული საკითხები განმარტებითი მემორანდუმის მე-19 და 28-ე პარაგრაფშია მოცემული.

106. იხილეთ გაერთიანებული ერების სახელმძღვანელო პრინციპები ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ: „უფლებების დაცვაზე, პატივისცემასა და გამოსწორებაზე მიმართული ღონისძიებების“ ჩარჩო, (A/HRC/17/31) დამტკიცებული ადამიანის უფლებათა დაცვის საჭოს რეზოლუციით „ადამიანის უფლებებსა და ტრანსნაციონალურ კორპორაციებსა და სხვა ბიზნეს კომპანიების შესახებ“, A/HRC/RES/17/4, თავი III, პრინციპები 28-31.

ცენტრებმა, ადამიანის უფლებათა ან ციფრულ უფლებათა დაცვის ასოციაციებმა, ან მომხმარებელთა უფლებების დაცვის ორგანიზაციებმა დამატებითი ინფორმაცია და მხარდაჭერა უნდა მიაწოდონ მომხმარებლებს მათი უფლებების დაცვის საკითხებთან დაკავშირებით.

106. ინტერნეტ მომხმარებლები დაცული უნდა იყვნენ კიბერდანაშაულისგან. სახელმწიფოებმა, რომლებიც ბუდაპეშტის კონვენციის ხელმომწერი მხარეები არიან, ვალდებულება იკისრეს დაიცვან თავისი მოქალაქეები ინტერნეტით ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაულისგან. ინტერნეტ მომხმარებლებს ლეგიტიმური მოლოდინი უნდა ჰქონდეთ, რომ სახელმწიფო დაიცავს მათ ინტერნეტის მეშვეობით ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაულისგან.

107. ყურადღება გამახვილებულია კომპიუტერული მონაცემებისა და სისტემების კონფიდენციალურობისა და მთლიანობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულზე. კონტენტთან დაკავშირებული დარღვევები (ბავშვთა პორნოგრაფია, საავტორო უფლებების დარღვევები) არ არის მოცემული, რადგანაც ასეთი დარღვევები განხილულია სახელმძღვანელოს იმ ნაწილში, რომელიც ბავშვთა უფლებებს შეეხება. მიჩნეულია, რომ უფლებების დაცვა ამ კონკრეტული ჯგუფის ინტერესების დაცვასაც მოიაზრებს, და არა ინტერნეტ მომხმარებლების უფლებების დაცვას. მონაცემთა ხელში ჩაგდებასა და მიყურადებასთან დაკავშირებული საკითხები მონაცემთა და პირადი ცხოვრების დაცვის ნაწილშია განხილული.

108. ინტერნეტ მომხმარებლებს ლეგიტიმური ინტერესი გააჩნიათ ჩარევისა და შეზღუდვების გარეშე აკონტროლონ, მართონ და ამუშაონ საკუთარი კომპიუტერული სისტემები. ისინი დაცული უნდა იყონ სისტემის, ან მისი ნაწილისადმი უკანონო წვდომისგან, რაც მოიცავს კომპიუტერულ ტექნიკას, კომპონენტებს, დაინსტალირებულ სისტემაში დაცულ მონაცემებს, დირექტორიებს, მონაცემთა ნაკადებს და კონტენტთან დაკავშირებულ ინფორმაციას. დაცვა ასევე გულისხმობს კომპიუტერულ სისტემებსა და მონაცემებში არაავტორიზირებული შეღწევისგან დაცვას (ჰაკერობა, მონაცემთა გახსნა და სხვა), რის შედეგადაც შეიძლება ინტერნეტ მომხმარებლის სისტემებისა და მონაცემების წვდომა შეიზღუდოს, მაგ. კონფიდენციალური ინფორმაციისადმი წვდომა (პაროლები, ინფორმაცია და საიდუმლოებები).[107]

109. ინტერნეტ მომხმარებლები ასევე დაცული უნდა იყვნენ კომპიუტერული მონაცემების დაზიანებისგან, მაგალითად მავნე კოდისგან (მაგ. ტროას ცხენი).[108] ისინი ასევე დაცული უნდა იყვნენ კომპიუტერული ან ტელესაკომუნიკაციო სისტემის ფუნქციონირებაში ჩარევისგან კომპიუტერული მონაცემების გადაცემის, დაზიანების ან წაშლის გზით[109] ისეთი პროგრამების გამოყენების მეშვეობით, როგორიცაა შეტევის, მავნე კოდის, მაგ. ვირუსების შეგზავნის პროგრამები, რომლებიც საგრძნობლად ანელებენ სისტემების მუშაობას, ან ადრესატისთვის დიდი რაოდენობის ელექტრონული კომუნიკაციის გაგზავნა, რათა სისტემის კომუნიკაციის ფუნქცია დაიბლოკოს (სპამი). ეს ეროვნული კანონმდებლობით შეიძლება კვალიფიცირებული იყოს როგორც ადმინისტრაციული, ან სისხლის სამართლის დანაშაული.

---

107. ბუდაპეშტის კონვენცია კიბერდანაშაულის შესახებ, მუხლი 2, განმარტებითი ანგარიში, §.44-50. იქვე,
108. მუხლი 4, განმარტებითი ანგარიში, §, 60-61.
109. იქვემ მუხლი 5, განმარტებითი ანგარიში, § 65-69.

110. ინტერნეტ მომხმარებლები დაცული უნდა იყვნენ კომპიუტერული თაღლითობისგან, რომელიც მონაცემების არააავტორიზირებულ შექმნას ან მოდიფიკაციას გულისხმობს, რის შედეგადაც კანონიერი ტრანსაქციების დროს, რომლებიც მონაცემთა სიზუსტეს და ნამდვილობას ეყრდნობიან, მონაცემების სიდიდეები იცვლება.[110]

111 ინტერნეტ მომხმარებლებს ლეგიტიმური ინტერესი გააჩნიათ დაიცვან კომპიუტერული სისტემის, ან მის მიერ ადმინისტრირებული აქტივები (ელექტრონული ფონდები, დეპოსიტები, სახსრები). ისინი დაცულები უნდა იყვნენ კომპიუტერული თაღლითობისგან, რაც ინტერნეტ მომხმარებლის საკუთრებისადმი პირდაპირი ზარალის მიყენებას იწვევს (ფული, მატერიალური და ეკონომიკური ღირებულების მქონე არამატერიალური აქტივები), მაგ. საკრედიტო ბარათებით თაღლითობა.[111]

112. ინტერნეტ მომხმარებლის კიბერდანაშაულისგან დაცვაზე მიმართული ნებისმიერი ღონისძიება სრულ შესაბამისობაში უნდა იყოს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით დადგენილ სტანდარტებთან, კერძოდ კი პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლებასა და გამოხატვის თავისუფლებასთან.[112]

113. ინტერნეტ მომხმარებლებს სამართლიანი სასამართლოში განხილვის უფლება აქვთ, რაც კონვენციის მე-6 მუხლით არის გარანტირებული. აქ იგულისხმება სამოქალაქო ვალდებულებებისა და სისხლის სამართლის ბრალის დადგენას ინტერნეტ მომხმარებლის ქმედებებთან დაკავშირებით. კერძოდ, ეს შეეხება სასამართლოს მიერ დადგენილ ძირითად პრინციპებს, ანუ გონივრულ ვადაში დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ სამართლიანი და საჯარო განხილვის უფლებას; სამართალწარმოების წამოწყების უფლებას, დავის საბოლოო გადაწყვეტის უფლებას, დასაბუთებული სასამართლო გადაწყვეტილების მიღებას, მის აღსრულებას, შეჯიბრობითი სასამართლო პროცესის და მხარეთა თანასწორობის უფლებას.

114. სასამართლომ, მიუხედავად იმისა, რომ საქმეები ინტერნეტს არ შეეხება, მართლმსაჯულების ადმინისტრირების ხარისხთან (დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა, სასამართლოს კომპეტენტურობა), მხარეების უფლებების დაცვასთან (სამართლიანი სასამართლო განხილვა, მხარეთა თანასწორობა, საჯარო მოსმენა), და მართლმსაჯულების ადმინისტრირების ეფექტურობასთან დაკავშირებით (გონივრული ვადა) ზოგადი პრინციპები დაადგინა.

115. ინტერნეტ მომხმარებლებს უფლება აქვთ ინდივიდუალური განაცხადი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წარადგინონ ეროვნულ დონეზე არსებული ყველა ეფექტური და ხელმისაწვდომი სამართლებრივი დაცვის საშუალებების ამოწურვიდან 6 თვის ვადაში იმ თარიღიდან, როდესაც საბოლოო გადაწყვეტილება იქნა მიღებული.[113]

---

110. იქვე, მუხლი 7, განმარტებითი ანგარიში, § 81.
111. იქვე, მუხლი 8, განმარტებითი ანგარიში, § 86-88.
112. იქვე, მუხლი 15.
113. მოცემული ვადა 4 თვით განისაზღვრება მას შემდეგ, რაც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-15 ოქმი შევა ძალაში.